

# ბაზბაზია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14').

№ 1 (20)

ი ა ნ ვ ა რ ი 1939.

№ 1 (20)

უ ი ნ ა ა რ ს ი :

- ჰ. ბამმატი — სომხების მოსვლა  
 შ. ამირეჯიბი — ზურაბ ავალიშვილი  
 ვლ. ემუხვარი — პასუხი ბ-ნ მიხ. წერეთელს  
 დ. საღირაშვილი — ნაციონალ-სოციალიზმის „რეაქციონერობაზედ“  
 გ. კვინიტაძე — † ლენერალი შ. ბაქრაძე  
 ელ. ყიფიანი — ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნას  
 სევ. ჭირაქაძე — კავკასიის ოფისი  
 შ. ბერეჟიანი — უსუსური თავის მართლება  
 რ. გ. — პოლონეთი და ქართველი მენშევიკები  
 \*\* — პრესა  
 ყველგან დამსწრე — შობის ხე  
 განი — 15 წლის იუბილე ქართული სიმღერისა საფრანგეთში  
 წერილი რედაქციის მიმართ — გ. თაყაიშვილი  
 Cercle des études Caucasiennes.

27 იანვარი 1939.

## სომხების მოსვლა

ამავე ნომერში მკითხველი შეხვდება სომეხ ახალგაზრდა ნაციონალისტების დეკლარაციას დანარჩენ კავკასიელებთან გაერთიანებაზედ კონფედერატიულად. თავის გაზეთ „აზგ“-ის („ერი“) უკანასკნელი ნომრის მოწინავეში, ისინი სავსებით ემხრობიან „კავკასიის“ პო-

ლიტიკურ პოზიციებს. ახლო მომავალში გამოვა სომხური „კავკაზ“ი, ჩვენი ახალგაზრდა სომეხ-მეგობრების ხელმძღვანელობით.

ჩვენს შეურიგებელ მოწინააღმდეგეთაც არ შეუძლიანთ გვისაყვედურონ, რომ სათანადო ყურადღებით არ ვექცევით სომხურ პრობლემას. ჯერ კიდევ პირველ ნომრებში ჟურნალ „კავკაზი“სა (№ 4. აპრილი 1934 წ.), წერილში — „კავკასიის კონფედერაცია და სომხები“, ჩვენ მკაფიოდ აღვნიშნეთ ჩვენი შეხედულება ამ საგანზედ.

მდაბლად ვიხრით რა თავს უთვალავ მსხვერპლის წინაშე, რომლითაც სავსეა რაინდული ბრძოლა სომხის ერისა ნაციონალურ იდეალისათვის, — ჩვენა ვთვლიდით ვალად და პოლიტიკურ ლოიალობად, პირდაპირ გვეთქვა კავკასიელ ოჯახის მეოთხე წევრისათვის, თუ როგორ გვესმის ჩვენი ამოცანები და როგორ უდგებით მწვავე საკითხს სომხებისას.

ჩვენი უარით რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიებზე ოსმალეთისა და ირანისადმი და ასეთი ვიწრო კავკასიური ჩარჩოებით შემოფარგვლით სომხური პრობლემისა, ვიცოდით, გამოვიწვევდით მტკივნეულ რეაქციას ასიათასობით ქვეყანაზედ გაბნეულ ემიგრანტებისას, მეტადრე იმათსას, ვინც თავის სამშობლოდა სთვლის ოსმალეთის აღმოსავლეთის ვილაიეთებს.

მაგრამ არ გვინდოდა და არ შეგვეძლო გვეკვება მრავალტანჯული სომხის ხალხი განუხორციელებელი ოცნებით, თითქო სომხური პოლიტიკური ჩვეული კონცეპცია გაერთიანებული სომხეთისა, — იპოვის სიმპატიასა და დახმარებას კავკასიელ მეზობელთაგან.

ჩვენა ვფიქრობდით, რომ, პოლიტიკურ განცდებში გამობრძმედილი სომხის ერი ღირსია — ეთქვას სიმართლე, მწარე სიმართლე... ვიცით რამდენად საწყენია ესა ჩვენ მეგობარ სომხებისათვის, მაგრამ, თვალის აბმას, სიმართლის აღნიშვნა ვარჩიეთ.

ჩვენა ვსთქვით რომ უმაღლესი ინტერესი კავკასიელ ერებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის რომ იბრძვიან ს.ს.ს.რ. წინააღმდეგ, მოითხოვს მეგობრობას ჩვენს სამხრეთის მეზობლებთან.

პოლიტიკურ დასკვნად ასეთი პრინციპისა მომავალი კონფედერაციისათვის ჩვენა ვცანით სავალდებულოდ ეხლანდელი ტერიტორიალური „სტატუს ქვო“ ოსმალეთსა და ს.ს.ს.რ-ს შორის.

ამავე პოლიტიკური რეალიზმით უყურებთ ჩვენ, მთლიანი კავკასიის ინტერესების გამო, — მომავალ კონფედერაციის ჩრდილოეთ საზღვრებსაც.

ჩრდილოეთ კავკასიის ერნი, რომელთა ბედი ბევრშია მსგავსი სომხების ბედისა, აგრეთვე იძულებულნი იქნებიან მოიტანონ ღიდი ტერიტორიალური მსხვერპლი.

დროა, ყველამ, — სომხებმაც, მთიელებმაც, ქართველებმაც და ადერბეიჯანელებმაც — გავიგოთ, რომ სახელმწიფოებრივი საზღვრები იხაზება რეალურ ძალთა განწყობილებით, რაც უნდა მაღალფარდოვან სიტყვებითაც არ უნდა შეამკოთ. უნდა გავიგოთ, რომ არსე

ბობს ისტორიული ფაქტები, რომელთა შეცვლა ჩვენ ხელთ არ არის და, მოგვწონს თუ არა, არ შეგვიძლიან ანგარიში არ გაუწიოთ...

უპირველესი ჩვენი ამოცანაა, 'ეხლანდელ პოლიტიკურ ქარიშხალთა ხანაში, მძიმე პასუხისმგებლობით მომავალ თაობათა წინაშე, ვისარგებლოთ განსაკუთრებული საერთაშორისო მდგომარეობით და ვეცადნეთ, რაც შეიძლება მტკიცედ გავამაგროთ — გარე კედლები ჩვენი საერთო კავკასიური სახლისა.

რამდენადაც უფრო მტკიცე იქნება ეს კედლები, უზრუნველყოფილი იქნებიან ჩვენი ერებიც, ამ კედელთა გარეშე მომავალ ქარიშხალისაგან. მით უფრო ნაყოფიერად შეგვეძლება ვიმუშაოთ ჩვენი საერთო სამშობლოს შინაგან კონსოლიდაციისათვის. ნუ დავხუჭავთ თვალსა, რომ ეს მუშაობა დიდი და რთულია, მოითხოვს დროსა, შრომას და მტკიცე მოთმინებას. რაც უნდა გავასადაოთ ჩვენი ამოცანები, ვერ დავივიწყებთ, რომ ჩვენი კავკასიური სახლი ოთხი ოთახისაგან შესდგება. ეს ოთხი ოთახი მჭიდროთაა შეკავშირებული და თუ არ გვინდა სახლი დაგვენგრეს თავზედ და დაგვიტანოს, — ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ოთხივე ოთახი თანაბრად ნათელი და საკმაო იყოს, ყველა ჩვენმა თანამემამულემ ერთნაირი სითბო და ხალისი მოიპოვოს. ქართველმა უნდა იგრძნოს თავი ერევანსა და ბაქოში, როგორც თბილისში, სომეხს უნდა უყვარდეს კავკავი და თბილისი, როგორც ერევანი და ასე.

ტერიტორიულ და საკონსტიტუციო აღნაგობამ კავკასიის მომავალ სახელმწიფოსი, თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს ასეთ ძირითად დებულების განხორციელებაში.

უადგილო იქნებოდა ამიტომ ძებნა რომელიმე ერის უპირატესობისა კონფედერაციაში, რასაც მოჰყვებოდა ქიშპი და ალბად დაკარგვა დამოუკიდებლობისაც, უფრო მძლავრი, მთლიანი კავკასიისათვის საერთო რომელიმე გარეშე მტრის წყალობით.



ჩვენს ხანაში მოვლენები სწრაფად ვითარდება. ისტორიული წელი 1938, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ცენტრალური ევროპის შენობა, გათავდა, გათავდა დღეთა აღრიცხვის მნიშვნელობით, მაგრამ გრძელდება პოლიტიკურად: ენკენისთვის მიუნხენში დაწყებული პროცესები — ვითარდება მკაცრი თანდათანობით... უნგრეთის მიმხრობა ანტიკომინტერნის პაქტისა, ახალი და მნიშვნელოვანი როლია იმ ფაქტების ჯაჭვისა, რომელიც გარდაჰქმნის აღმოსავლეთ ევროპის სახეს....

თითქო დადგა დრო, სომხის პოლიტიკოსებმაც დაანებონ თავი ცდისა და ოცნების გზასა და სინამდვილეს გაუსწორონ თვალი...

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, თუ, მთელი წლების სიჩუმის შემდეგ, სომხური პრესა უკანასკნელ თვეებში როგორ გულდა-

სმით გვეკამათება. სიხარულით შევეგებებით ტაქტიკის ასეთ შეცვლას: კეთილსინდისიერი პოლემიკა, რომელსაც მართლა სურს გამორკვევა საკითხებისა, ჩვენთვის სასურველია...

ეხლა, როცა ჩვენს რიგებში ჩადგნენ თანამოაზრე სომხებიც, ჩვენ საშუალება გვექნება სომხის ერს ველაპარაკოთ მათს სამშობლო ენაზედ და უფრო ადვილად ვიპოვოთ ის სულიერი და პოლიტიკური ერთობა, რომელზედაც ოცნებობენ საუკეთესო წარმომადგენელი კავკასიელ ერებისა.

ჰაიდარ ბამატი

### ზურაბ ავალიშვილი

გასული წლის მიწურულში, ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში ორი ისეთი ამბავი მოხდა, რომელსაც, შეუძლებელია, ემიგრაციის ყურადღება არ მიეზიდა. ერთი იყო ის, რომ ძველ, დამსახურებულ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, პროფესორს, ბ. მიხ. წერეთელს, მისმა პოლიტიკურმა თანამოაზრეებმა, იუბილე გადაუხადეს. მეორე — აღარ ვიტყვი, რომ აგრეთვე პროფესორს, რადგან ეს უკვე როგორღაც უხერხული ხდება ეხლა, ზურაბ ავალიშვილსაც, ღმერთმან უწყის ვის „თანამოაზრეებმა“, მაგრამ ვთქვათ უბრალოდ, აგრეთვე რაღაცა „გადაუხადეს“.

მე არავითარი სურვილი არა მაქვს პირველი ამბავის საზოგადოებრივი მნიშვნელობა დავჩრდილო, მაგრამ გულახდილად უნდა ვსთქვა, რომ ჩემი ეხლანდელი სულიერი მოთხოვნილებაა, მხოლოდ მეორე ამბავზედ, მხოლოდ ზურაბ ავალიშვილზედ ვილაპარაკო და წინასწარ ვიცი, მკითხველი ამას გამიგებს.

რუსთაველს შესანიშნავადა აქვს გადმოცემული ერთი დელიკატური გრძნობა, რომელიც ადამიანს აიძულებს, არ ვიტყვი გულგრილი იყოს, რადგან ეს რუსთაველური არ იქნებოდა, მაგრამ სხვისი ლხინის უმეცარი გახდეს, როცა თითონ „ჭირშია“. ეს მოთხოვნილებაა ტარიელისა და ავთანდილის პირველ დიალოგში, ოდეს ერთმანეთს პირველ გამოელაპარაკნენ და ეხება იმ ამბავს, ოდეს როსტევეანმა და გალაღებულმა ავთანდილმა „მტირალი“ ტარიელი პირველ იხილეს.

მართლაც, ჩვენ და ბ. მიხ. წერეთელი „ერთმანეთსა რითა ვგავართ“ დღეს, რუსთაველის სიტყვები რომ ვიხმაროთ, რომ ჩვენ მისთვის და მას ჩვენთვის სცალოდეს?

მაგრამ ცოტა რამ ჯერ თვით ამბავის გამო.

როგორც კი პარიზში ეგ წინასწარ შემზადებული საქმე მოხდა, ბერლინში მაშინვე ორი წერილი მოვიდა, ღმერთმან უწყის ვისგან რა სენსაციის მოსახდენად გამოგზავნილი, რომელმაც ცნობა მოიტანა თუ რა ამბავი დატრიალდა 25 დეკემბერს პარიზში, პატარა ქართველ ემიგრანტებისათვის გამართულ შობის ხეზედ.

პირველი წერილი იუწყებოდა, რომ ზურაბ ავალიშვილზედ, რევაზ გაბაშვილზედ და სხვა ჩვენს მეგობრებზედ მოწყობილი მუხანათური თავდასხმის მონაწილენი „ახალი ივერიელები“ არიანო და იწერებოდა „თეთრი გიორგელი“. მეორე წერილი, რომელიც პირველს ფეხდაფეხ მოჰყვა, იუწყებოდა, რომ თავ-დამსხმელნი, პირიქით, „თეთრი გიორგელები“ იყვნენო და, რა თქმა უნდა, ცნობა „ახალი ივერიელისაგან“ იყო გამოგზავნილი.

წერილების ასეთი იერიში ბერლინზედ მოტანილი და ერთი მეორის მამრალებელი, უმიზეზო არ უნდა იყოს და უნდა ვიფიქროთ, რომ ამისი მნიშვნელობაც გამოირკვევა.


რამდენიმე წერილი ბოლოს მეც მივიღე და ეხლა ჩემთვის ნათელია, რომ მთელი ის დასი, რომელმაც ქართველ ბავშვების წინაშე ასეთი „ზნეობრივი კომედია“ ითამაშა, მართლა „ახალი ივერიელებისაგან“ ყოფილა შემდგარი (ძველი „ივერიელები“ ხომ არ იქნებოდნენ!), მაგრამ ანტრეპრიზა — ძველებურად მენშევიკური დარჩენილა!

ექვსს წერილში, რომელიც ჩვენი მეგობრებისაგან არის გამოგზავნილი, ხუთი ეპიკურის ენით არის დაწერილი და ერთ მათგანში, მაგალითად, ავტორი ძირეულ საკითხს ასე ლაკონიურადა სვამს: ვერ გამიგია, საიდან მოდის ეს „წიხლობაო“? და თქვენ მიხვდებით მანდ — თუ ვინ უნდა იყოს ასე ზედ-გამოჭრილი სიტყვის ავქსონი! საზოგადოდ კი, ყველა წერილიდან ნათლადა სჩანს, რომ მხეცებს ადამიანები ვერ დაუშინებიათ და ასეც უნდა ყოფილიყო. რა საშიშიც არ უნდა იყოს მხეცი, ადამიანი არის რომ მხეცს გალიაში სვამს და არა მხეცი ადამიანს!

ელდა ნაკრავი გამოდგა მეექვსე წერილი — მანდილოსნისაგან მოწერილი, რომელიც მწარედ სჩივის თუ რა შავი უფსკრულისაკენ მიექანება ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილი..! და მეც მინდა მოვახსენო აქედგან დიდად პატივცემულ ქალბატონს, რომ — დიად, ქართული ემიგრაციის ეს ნაწილი ეშმაკმა შეისვა ფრთაზედ და მართლა სადღაც დასაღუპავში მიაფრენს. ეს ფრთა შენშევიკის ფრთაა!

მაგრამ მინდა ნუგეშიცა ვცე: ნუ გეშინიან სულით გამწარებულ ქართველო ქალო! რა სეირიც არ უნდა დაატრილოს ჟორდანიამ ემიგრაციაში, ასე მალე, სულ ერთია, ვერ მოვკვდებით! ცილის წამებითა და წასისინებით იყო შემზადებული ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და მისმა ქვრივმა საქართველოს დამოუკიდებლობამდე იცოცხლა, მაგრამ დადგა თუ არა დამოუკიდებლობის ხანა — პირველი ჟორდანია დაიღუპა!

საქართველოს დამოუკიდებლობა ჟორდანიას ვერ იტანს და მენშევიზმი საქართველოს აზიდებს! ამ ზიდებამ ისე შორს გადასტყორცნა იგი საქართველოდგან, რომ პირს უკან ველარ იზამს. მაგრამ მენშევიზმი იმას კი იზამს — რისი ხურო და კალატოზი ის მუდამ იყო, რომლის სახელი პროვოკაცია, თავ-დასხმა და ტერორია და რასაც იგი ემიგრაციაშიც ისევე ეწევა, როგორც ეწეოდა საქართველოში. პო-



ლიტიკურად დამარცხებულს, იდეურად გაკოტრებულს და მორალურად ერის მიერ აბუჩად აგდებულ მენშევიზმს, ემიგრაციაში, სხვა საქმე არაფერი აქვს. ეს არის მისი ერთად ერთი ხელობა და ემიგრაციას ეს გარემოება მუდამ უნდა ახსოვდეს.

შობა დღეს მომხდარი ამბავი ისე ველურად გამოიყურება, რომ მისი ნამდვილი სურათის წარმოდგენა, სწორი და სრულიად მართალი აწერილობიდანაც, ძნელი ხდება. თითქოსა ჰგავს, რომ განათლებულმა ხალხმა, რომელმაც ეს საქმე მოიმოქმედა, რაღაცა გაუგებარის მიზნით, ჯერ ერთმანეთი დატორა და მხოლოდ მერე გააკეთა თავისი „ნომერი“, უკვე უფერულად! ბ. სპ. კედისათვის ეს დიდი აფუ-მეა! მაგრამ ამას აღარაფერი ეშველება... ასეთი ფათერაკი თვით ხელობისაგან მოდის. იქნება არ ვარგოდეს თვით ეს „ხელობა“, თორემ იშვიათია დაწვრთნილი მხეცების ისეთი დასი, რომელმაც ცირკის პატივცემულ საზოგადოების წინაშე, „პროგრამის“ თვინიერ, ერთიც არის, სხვა რამეც არ გააკეთოს.

მაგრამ განა სულ ასეთი მარცხი არა სდევს მენშევიკების ჩვენს წინააღმდეგ „ბრძოლას“ ემიგრაციაში?

გაიხსენეთ ჟორდანიას მეხოტბე ცაგურია და მისი სამარცხვინო პროცესი ბრიუსელში, გაიხსენეთ 4 ქრისტიანობისთვის მიტინგი, რომელმაც ადამიანის სიცოცხლეც კი შეიწირა (ეხლა ეს ამბავი არავისათვის საიდუმლო არ არის!), გაიხსენეთ ჟორდანიას „მთავრობის“, ამიერიდგან სახელგანთქმული მემორანდუმი, ბ. რაფიელ ინგილოს მიერ იტალიის ფაშისტური მთავრობისათვის „მირთმეული“ და თავზედ გადმოფხრეწილი, სხვა ბევრი რამ და ბოლოს, პროფოკატორების ეს შესანიშნავი „რანდე-ვუ“, ერთი დღის იესოს შობის ხეზედ დანიშნული?!

მაგრამ „ბრძოლა“ მაინც გრძელდება.

ჩვენი წრისა და განსაკუთრებით ზურაბ ავალიშვილის წინააღმდეგ ემიგრაციაში წრმოებულნი ეს ბრძოლა, არა მარტო მენშევიკების მიერ დაწყებული, არამედ „ნაციონალისტებისაგანაც“ მხარ - მობმული, იმისი ნიშანი არის, რომ ქართულ ემიგრაციაში მართლა ახალი წრე, მართლა ახალი ქართული შეგნება გაჩნდა, რომელიც კრიჭაში ჩაუდგა არა მარტო მენშევიზმს, არამედ „ნაციონალისტებიც“ ამხილა, რომ მათი ბინა ჟორდანიასთან არ უნდა იყოს, და ეს ძილს უფრთხობს, როგორც ერთს ისე მეორეს.

მაგრამ რაღა „განსაკუთრებით“ მარტო ზურაბ ავალიშვილის წინააღმდეგ? — იკითხავს მკითხველი და ჩვენი პასუხი ამ კითხვაზედ სწორი და მკაფიო უნდა იყოს. იმიტომ, რომ ქართული ემიგრაციის პოლიტიკური და ეროვნული შეგნების წინმსვლელობის საქმეში, ზურაბ ავალიშვილის ღვაწლი დიდი და ემიგრანტისათვის უმაგალითოა.

ევროპაში გამოვიდა წიგნი, რომელიც საჭირო იყო ტანჯული და მოტყუებული ქართველი ერისათვის, რათა მას სცოდნოდა, თუ რა იყო ქართული მენშევიზმი, როგორც მმართველობა იქ, საქართველოში და როგორც პოლიტიკა — საერთაშორისო ასპარეზზედ. ამ წიგნის



სახელია „საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში“. ის წაკითხულია ემიგრაციაში, ის ნათარგმნია ქართულად და წაკითხული და მოწონებული საქართველოში, ის ითარგმნება ამჟამად ერთ უცხო ენაზედაც და, რა თქმა უნდა გაჰფანტავს იმ მითს, სხვა და სხვა ღვთის გლახა შავიშვილებისაგან ზოგიერთ ევროპულ წრეში შექმნილს, რომ საქართველოს ერთად ერთი ცხოველი ძალა მენშევიზმია, ქართველ ერს ჟორდანიას მეტი სხვა მეთაური არა ჰყავს!! წიგნი დაწერილია დიდი ქართული გულით, ნამდვილი ქართული ჭკუით, საგნის დიდი ცოდნით და ეროვნული მისწრაფების გამჭვრიატობით.

იქნება გვიბრძანონ, რომ ამ წიგნის ავტორი დღევანდელი „ეროვნული“, შვიდი ან რვა წევრიანი „ჯგუფის“ რომელიმე კულა-ლიდე რია?

იქნება გვიბრძანონ კიდევ, რომ მორცხვი სახელით ემიგრაციაში გამოსული წიგნი — „ჯვაროსანთა დროიდან“, ნამდვილად კი ძველი საქართველოს მონარქიის ძლიერების და ბრწყინვალეების სურათი, სიყვარულით და შთამაგონებელი ხალისით დაწერილი „დიდი საქართველოს“ ფრესკა — ესეც ჩვენი დროის ვინმე ქართველი მონარქისტის ხელით იყოს დაწერილი?

იქნება ვინმე ფიქრობს, რომ საუკეთესო თხზულება შოთა რუსთაველზედ, ემიგრაციაში გამოსული, ესეც ვინმე იწილო-ბიწილოს ავტორს ეკუთვნოდეს?

ან იქნება ბრძანოს ვინმემ, რომ ბრწყინვალე წერილები 16—17 და 18 საუკუნეთა ქართულ პოლიტიკაზედ ემიგრაციაში დაწერილი და მკითხველის მიერ ხალისით წაკითხული, ის წერილები იყო, რომელიც, ჩვეულებრივის მიხტი-მოხტით და ჩიტის სარეცხივით, ბ. ჟორდანიამ „ბრძოლის ხმაში“ გადმოფინა.

იქნება ვინმემ სთქვას აგრეთვე, რომ უკეთესი წიგნი ქართული მწერლობის „ვერცხლის ხანაზედ“, რომელსაც სხვა პროფესორი დაცემის ხანას უწოდებს — ესეც სხვამ დასწერა.

უკან დაიხიეთ, ბატონებო, ეს შრომა, ეს ღვაწლი, არჩევით, შეგნებულად, მიზანშეწონილად, ემიგრაციაში ზურაბ ავალიშვილმა შეასრულა. ის იყო რომ შეუდგინა, დაუსურათა და მიაწოდა ემიგრაციას საქართველოს წარსულის დიდი კომპლექსის ზოგი, მაგრამ დღეისათვის საყურადღებო პრობლემა, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, კულტურულ-ლიტერატურული, ქართველი ემიგრაციის გონებისათვის საცნაური, სახალისო და საპერსპექტივო მომავალ მოქალაქეთათვის.

ყოველი მისი წიგნი ემიგრაციაში გამოსული, ყოველი მისი ნარკვევი, სხვა და სხვა ევროპულ ენაზედ დაბეჭდილი, ყოველი მისი წერილი — ჩვენს ჟურნალში მოთავსებული ამ დიდ გეგმას ემსახურება.

ჟორდანიამ გვასწავლიდა აქ, რომ ქართველი ერის პოლიტიკური გამოცოცხლება ეგნატე ნინოშვილის გამოჩენით იწყებაო. ეგნატე ნინოშვილი, საშუალო ნიჭის მწერალი და იქნება, მართლა, დროის მიხედვით, პირველი ქართველი მარქსისტი, ქართველი ერის გამოცოც-

ხლების საქმეში არაფერ შუაში იყო და ჟორდანიას აქ თავისი თავი ჰყავდა და ნაგულისხმევი. სხვანაირად დომ ითქვას, ჟორდანია ერთხელ კიდევ თავის „ტაბულა რაზას“ თეორიას დაუბრუნდა. ზურაბ ავალიშვილმა, რომელმაც კარგად იცის, რომ ერის გამოცოცხლების დოსტაქარი მხოლოდ ეროვნული ტრადიციის მატარებელი კაცი შეიძლება იყოს და არა მარქსისტი, მოკლედ მოუჭრა ერთ წერილში და ისიც არა მასთან საპოლემიკოდ დაწერილში, რომ ქართველი ერის „მკეთებელი“ მეცხრამეტე საუკუნეში (ასეთი „შეკეთება“ ერს თითქმის ყოველ საუკუნეში სჭირდება!) ილია ჭავჭავაძე იყო და დიდი ქართველის წარმტაცი და საამაყო სურათი დაგვიხატა.

ყველა ზემოდ ნათქვამის მიხედვით, ჩვენ წრეს თავის სასახელოდ მიაჩნია იფიქროს და თუ შესაძლებელია სხვაც ჩააფიქროს ამაზედ, რომ ქართული ეროვნული ემიგრაციის სულიერი მეთაური დღეს, მისი ეროვნული ტრადიციების ნამდვილი გამაცოცხლებელი და მცველი ზურაბ ავალიშვილია. ძველი ქართველი ერის კულტურული და ეროვნული ტრადიცია მოითხოვს რომ ეს მეთაური სწორედ ასეთი კაცი იყოს.

ჩვენ ვიცით რომ ჟორდანია მას ვერ შეურიგდება. მაგრამ აბა წადით და ჰკითხეთ, რა აწიოკებს ამდენ სხვა და სხვა „ნაციონალისტს“, „ფაშისტს“, „მონარქისტს“, რა ბუზანკალი შეუძვრა ემიგრაციას, რად დაიშალა იგი, რად წაეკიდა ერთმანეთს, რად მირბის ისევ მენშევიზმთან, რა ნახა იქ, რომელი საქართველო, რომელი გამარჯვებული პოლიტიკა, რომელი მომავლის იმედი?!

და როცა ასე უყენებთ საკითხს, მათ სათქმელი არაფერი აქვთ, ვინაიდან, შეუძლებელია „თქმა“ ეწოდოს იმას, რაც თუ გნებავთ, ამ ბოლო დროს და სხვებისაგან უკვე ჩატარებული კამპანიის თითქოს თავიდან დასაწყებად, ბ. მიხ. წერეთელმა ბრძანა.

მან, ფაშისტმა, დაიცვა მარქსისტი ჟორდანია, რომელმაც საქართველოს მიწა-წყალი, უომრად და ქართველი ერის ჩუმად, ოსმალითს გაუბოძა და ბრალი დასდო ზურაბ ავალიშვილს და საზოგადოდ მთელ ჩვენს წრეს, თითქოს „ნახევარ საქართველოზედ“ ხელს ვიღებდეთ და თანამედროვე ქართველებს „დიდ საქართველოს იდეალს“ უსპობდეთ. ბ. მიხ. წერეთელმა ესა სთქვა, მაგრამ არ დაგვისახელა წერილი, ავტორი ან ჩვენი ჟურნალის ნომერი, სადაც, ვითომდა ეს ჩვენი ასეთი აზრი ასე კოხტად იყოს ჩამოყალიბებული.

უფრო შორს წავიდა ბ. მიხ. წერეთელი თავის მეორე წერილში ჩვენს წინააღმდეგ, სადაც სულ გულ-ახდილად, მაგრამ არა გულუბრყვილოდ განაცხადა, რომ ყველა „მოთმინებიდან გამოსულ“ ქართველს თურმე უფლება ჰქონია „გადააქარბოს“ და გვიწოდოს არა მარტო „მოლაღატე“, არამედ „მეტიც შეგვკადროს“... მაგრამ აღარ განმარტა — შეგვკადროს სადამდის, რა საზღვრამდის, შურისძიების რომელ ხარისხამდის?!

... ეხლა უკვე იმდენად გვიან არის, რომ ამ სიტყვების განმარტება მე ხომ აღარა მსურს, მაგრამ, მგონია, მათი ავტორისათვისაც დაგვი-



ნებული უნდა იყოს. მე ვიტოვებ ჩემთვის მხოლოდ ერთ უფლებას, ჩემი შეხედულება გამოვსთქვა იმ საგანზედ, დიდი ხანია ჩემ მიერ შენიშნულზედ, თუ რა განსხვავება არსებობს ზურაბ ავალიშვილის და ბ. მიხ. წერეთლის საქართველოს კონცეპციათა შორის, საზოგადოდ ჩვენსა და საერთოდ ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის?

ზურაბი მუდამ გულითა სწერს საქართველოზედ და მას უყვარს საქართველო ისეთი — როგორც არის, როგორც იყო! პრანჭიობასა და დეკლამაციას მოკლებული ეს სიყვარული, სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ ბევრი არ მეგულება ქართველი კაცი, რომელიც ისე იცნობდეს თავის ქვეყანას, მის წარსულს, მის აწმყოს, როგორც იგი. დეე, სხვებმა იფიქრონ, რომ ასეთ „სადა“ სიყვარულში „დიდი საქართველოს იდეალი“ არ ურევია! მაგრამ მასაც აქვს უფლება სთქვას, რომ არც დიდი საქართველოს იდეალია ქოთანნი, რომ ცარიელი ენით გამოილოკოს! ბ. მიხ. წერეთელს კი უყვარს საქართველო ისეთი, რომელიც — რატომ სხვანაირი არ არის, რატომ სხვანაირი არ იყო?! განსხვავება დიდია: გრძნობითი, ცნობითი, განცდითი, შეხებითი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ასეთ სიყვარულში ნაციონალიზმი სულ არავითარი არ არის!

ამას სწორი პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი, ეროვნული იდეოლოგია და დიდი საქართველოს იდეალი არ ეწოდება. რადგანაც ყოველივე ეს ემიგრაციაში და მეტოქე პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის ხდება, იწერება და ითქმის; საერთოდ ამას ეროვნულ იდეოლოგიასთან და მით უმეტეს მეცნიერებასთან არაფერი აქვს და არის მხოლოდ დემაგოგია და მამულიშვილობაში პირველი ჯილდოს აღების ხერხი, რა თქმა უნდა, სიტყვით და არა საქმით.

ამ ნიადაგზედ კაცი შეიძლება აუხირდეს არა მარტო ზურაბ ავალიშვილს და ჩვენ წრეს, არამედ საქართველოს მთელ წარსულსაც. და ბ. მიხ. წერეთელიც ასე ირჯება. ის ებრძვის სპარსეთის გავლენას საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზედ და თითონაც არ ესმის, რომ არსებითად ის ებრძვის მე-16, 17 და 18 საუკუნის ქართველობას, რომელმაც ქართული კულტურისათვის დიდი ღვაწლი გასწია. ნამდვილი ბარბაროსობაა, როდესაც ის, ამ ეპოქას, რომელსაც ქართული მწერლობის ისტორიაში „ვერცხლის ხანა“ ჰქვია, დაცემის ხანად და ერთიანად სპარსულს უწოდებს.

ამიტომ ორში ერთია: ან ქართული მამულიშვილობა, დიდი საქართველოს იდეალი და მთელი ქართული კულტურა მხოლოდ ეხლა ყოფილა გამოგონილი ბ. მიხ. წერეთლისაგან და ამაზედ ადრე საქართველოს იგი არა ჰქონია, ან ეს ქართული მამულიშვილობა, იდეალი და კულტურა საქართველოს ძველი ტრადიცია არის და მაშინ ყველა მიხვდება, რომ მისი გამაგრებელი ემიგრაციაში ზურაბ ავალიშვილი უფროა, ვიდრე ბევრი სხვა და განსაკუთრებით ბ. მიხ. წერეთელი, რომელიც სამი საუკუნის წარსულს, არა ისე იოლად ნაშოვნს, წყალში ჰყრის. დანარჩენი კამათი ზედმეტია.

ასეთია, არსებითად, ჟორდანიაც. მას არა „სწამს“ საქართველო,



თუ მეთორმეტე საუკუნის საქართველო არ არის, მას არა „სწამს“ ქართველი მეფე — თუ თამარ-მეფე არ არის, მას არა „სწამს“ ქართველი მწერალი თუ შოთა რუსთაველი არ არის. მაგრამ თუ დასჭირდა, საქართველოს მიწა-წყალს ოსმალეთს მისცემს და ეგნატე ნინოშვილს გენიოსად გამოაცხადებს!

დროა ითქვას, რომ ეს არის მხოლოდ „სნობიზმი“ და ეს სნობები არიან დღეს, რომ საქართველოს ისტორიიდან, ზურაბ ავალიშვილის სახით, თვით საქართველოს ერეკებიან. ძნელი საქმეა, ბატონებო, ფრიად ძნელი!

შ. ამირეჯიბი

### პასუხი ბ. მიხეილ წერეთელს

დღესდღეობით ზოგადი შენიშვნებით გვინდა უპასუხოთ ბ-ნ მ. წერეთელის გამოსვლას „კავკასიელთა“ წინააღმდეგ და შემდეგ დაწვრილებითაც გავაშუქოთ მთავარი „სადაო“ საკითხები. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ბ. მ. წერეთელს არ ესმის, ან თვალთმაქცობს რომ არ ესმის, განსხვავება — პრაქტიკულ ეროვნულ პოლიტიკასა და იდეოლოგიას შუა და ამაზე აშენებს თავის დემაგოგიურ პროვოკაციებს კავკასიელთა მიმართ. თითონ ოდესღაც ანარქისტი, მერე სოციალისტი და დღეს „ფაშისტი“, პრაქტიკულ ეროვნულ დავაში ჩვენსა და მენშევიზმ-ბოლშევიზმს შუა, იგი მხარს უჭერს საქართველოს პრაქტიკულად დამლუპველ და იდეოლოგიურად საქართველოსა და კავკასიის მტრების, ბოლშევიკების მხარეზე მდგომ მენშევიკებს. ამით არა კმაყოფილდება ბ-ნი „ფაშისტი“ წერეთელი (ოდესღაც მენშევიკებისაგან მონათლული — ბოლშევიკების აგენტად) და, როდესაც კავკასიელნი აშკარად იღებენ ორიენტაციას ისეთ ძალებზედ, რომელნიც ებრძვიან ჩვენს მტრებს, ნართაულად სწერს, რომ, იქნება არც ისე ხელსაყრელი იყოს მათთვის („კავკასიელთათვის“) მარქსიზმთან ბრძოლაო. აშკარა კი ერთია: ჩვენ „კავკასიელნი“, იქნება ისეთი ფაშისტები „პიურ სან“ არა ვართ, როგორც ბ-ნ მ. წერეთელი, მაგრამ ყოველთვის ეროვნულად ჯანსაღ ანტიმარქსისტებთან ვართ და „ფაშისტი“ მ. წერეთელი კუდგადაბმულია სწორედ მარქსისტებთან, რომელთათვის ფაშიზმი და კომუნიზმი ერთი და იგივეა თურმე. და კიდევაც მეტი: ისინი ამ ორ ბოროტების შუა, უპირატესობას აძლევენ კომუნიზმს, როგორც რევოლუციონურ მოვლენას. წადით და გაიგეთ სად არის და რად პრ. მ. წერეთელი?

მაგრამ მთავარი ჩვენი „სადაო საკითხები“ ამ ზოგად მოსაზრებათა ფარგლებს სცდება. ბ-ნ მ. წერეთელს არ მოსწონს ჩვენი კრიტიკა მენშევიზმის წინააღმდეგ, მას მოჰბეზრდა ერთი და იგივეს განმეორე-

ბა. მაგრამ რა ვქნათ? ჩვენა ვართ მომხრენი კავკასიის კონფედერაცი-  
 ისა და თუ ქართველმა ერმა ვერ გადალახა მენშევიზმი, ფუჭია კონ-  
 ფედერაციაზე ფიქრი. მაშასადამე, არ შეიძლება ჩვენ გვისაყვედუროს  
 ადამიანმა, რომ, ვისახავთ რა მიზანს, ვებრძვით იმ მთავარ ძალას, რო-  
 მელიც ამ მიზანს წინ ეღობება, ვითარცა ანტისახელმწიფოებრივი ძა-  
 ლა. კონფედერაცია კი, როგორც სახელმწიფოთა ურთიერთობის გან-  
 საზღვრული ფორმა, შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივმა ელემ-  
 ენტებმა შექმნან. მენშევიზმი და ქართველი ერი ერთი და იგივე არ  
 არის, მათ შორის ურთიერთობა ისეთია როგორც ფორმასა და სუბს-  
 ტრატს შორის, და ამ სუბსტრატმა, ქართველმა ერმა სხვა ფორმა  
 უნდა მიაღწიოს, ამიტომ საჭიროა დაუღალავი ბრძოლა მარქსიზმთან.  
 ეს არის თვით სტილი აზროვნებისა, რომელშიაც ბ. მიხაკო წერეთელიც  
 მათი მოწაფეა, ამას მოწმობს მის მიერ სრულიად ზეპირი ფორმულის  
 წამოყენება, აღმოსავლეთ - დასავლეთის ანტითეზისა და ამ ფორმუ-  
 ლაში მთელი ისტორიის მომწყვედევა და კონფედერაციის იდეის უარ-  
 ყოფა. თუ პირველ წერილში ბ. მ. წერეთელი გმობდა მენშევიკების  
 კრიტიკას „კავკასიის“ მხრივ წარმოებულს, მეორე წერილში კი ის  
 თვითონ ამაყოფს თავის მიერ წარმოებულ კრიტიკით და აცხადებს,  
 რომ მისი კრიტიკა არ შეიცავს ცილისწამებას. რასაკვირველია, არც  
 ერთი ჩვენგანი ასეთ ცილისწამებას არ მოითხოვს ბ. წერეთლისაგან,  
 არც ერთ ჩვენგანს არ აუღია ხელობად ცილისწამება, მხოლოდ ჩვენ  
 შეგვიძლია მოვსთხოვოთ ბ. წერეთელს, რომ გამოიჩინოს ისეთივე  
 სულგრძელობა ჩვენს მიმართ და თავი შეიკავოს ცილისწამებისაგან.  
 „კავკასიელთა“ მიმართ კი იგი ორმაგ ცილისწამებას სჩადის. ერთი—  
 თითქოს ჩვენ არ ვიყვნეთ დაინტერესებულნი მარქსიზმის განადგურე-  
 ბით, თითქოს ჩვენს მიერ მარქსიზმის წინააღმდეგ გალაშქრება იყოს,  
 მაშასადამე, თვალთმაქცობა. მეორე, და უარესი ცილისწამებაა — თი-  
 თქოს ჩვენ ნახევარ საქართველოს ოსმლეთს ვაძლევდეთ. ბ. მ. წერე-  
 თელს, რომელსაც დავა აღმოსავლეთსა და დასავლეთის ურთიერთ  
 წინააღმდეგობის სფეროში აქვს გადატანილი, დღემდის ვერ შეუთვი-  
 სებია ერთი უმთავრესი თვისება დასავლეთისა, — უფლებრივი შეგ-  
 ნება. ჩვენსა და ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის დავა არის სწორედ  
 დავა უფლებრივ შეგნებისა და უფლებრივ შეუგნებლობის შორის.  
 ჩვენ ვდგევართ იმ საერთაშორისო უფლებრივ პოზიციებზე, რომე-  
 ლიც ქართველებში ამ უფლების ერთად ერთმა მცოდნემ ბ-ნ ზურაბ  
 ავალიშვილმა წამოაყენა და რომელიც უფლებრივ მეცნიერების  
 უკანასკნელ სიტყვაზეა დამყარებული. თქვენ კი ამ პოზიციის წინააღ-  
 მდეგ სხვა წყარო ვერ იპოვეთ, გარდა ვალერიან გუნიას ვოდვეილი-  
 სა. მე გავახსენებ ბ. მიხ. წერეთელს საქართველოს წარსულიდან კი-  
 დევ ერთ მომენტს, როდესაც უფლებრივი შეგნება შეეჯახა მაიმუნის-  
 ტურ უცოდინარობას უფლებრივობისას და ბ. მიხ. წერეთელი სწო-  
 რედ ამ ანტიუფლებრივ ბანაკში იმყოფებოდა. ეს იყო დავა ი. კავკა-  
 ვადისა და მარქსისტულ დებაგოგიას შორის 1905 წელს. ბ. მ. წერე-  
 თელი იმ დროს მარქსისტებს იმაში ედავებოდა, რომ ისინი, მარქსის-

ტები, მისი აზრით, ნამეტანი ზომიერნი იყვნენ და ამიტომ ხალხის მო-  
 ლალატენი, ე.ი. არ იყვნენ საკმარისად გამსჭვალულნი პოგრომული  
 იდეებით. მაშასადამე, ი. ჭავჭავაძისა და დემაგოგიას შორის ბრძოლა-  
 ში, ის დემაგოგიასთან იყო და არა ი. ჭავჭავაძესთან. რა იყო იმ დროს  
 საგანი დავისა? ამ საგანს ეწოდებოდა პრინციპი კერძო საკუთრების  
 ხელშეუხებლობისა. რა არის საგანი ჩვენსა და დემაგოგიას შორის და-  
 ვისა დღეს? ამ საგანს ეწოდება პრინციპი ტერიტორიალურ ინტეგრი-  
 ტეტის. როგორც 1905 წ. ი. ჭავჭავაძესთან ბრძოლაში, დემაგოგიას  
 არ უნდოდა გაგება იმისა, რომ საკუთრების საკითხს სწყვეტს პოზიტიუ-  
 რი უფლება, აგრეთვე იმავე დემაგოგიას არა აქვს უნარი და სურვილი  
 გაიგოს, ვის ეკუთვნის ესა თუ ის ტერიტორია. ამას სწყვეტს არა ის-  
 ტორია, არამედ პოზიტიური საერთაშორისო უფლება. რასაკვირვე-  
 ლია, თვით ამ პოზიტიური უფლების წარმოშობის მომენტში შეიძლე-  
 ბა მხედველობაში ისტორია იქმნეს მიღებული, მაგრამ ეს იმას არ ნი-  
 შნავს, რომ ისტორია უფლების წყაროს წარმოადგენს. მაშასადამე,  
 დავა ჩვენსა და ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის იმაში კი არა მდგო-  
 მარეობს, რომ ჩვენ უთმობთ ოსმალეთს საქართველოს ტერიტორიას,  
 ასეთი დათმობა ოსმალეთს არა სჭირია, ვინაიდან ის ტერიტორია, რო-  
 მელსაც ჩვენი მოწინააღმდეგენი თავიანთ უსუსურობით და უმეცრე-  
 ბით ოსმალეთს ედავებიან, ეკუთვნის არა საქართველოს, არამედ ოს-  
 მალეთს, თანახმად პოზიტიურ საგარეო უფლებისა, რომლის წყაროს  
 ამ საკითხში ყარსის ხელშეკრულება წარმოადგენს. როდესაც რომე-  
 ლიმე სახელმწიფოს ტერიტორიას ედავებიან, ეყრდნობიან ან პოზი-  
 ტიურ საგარეო უფლებას ან ბუნებრივ უფლებას. იქ სადაც ტერიტო-  
 რიალური საკითხი პოზიტიურ უფლების მიერ არის გადაწყვეტილი,  
 იქ დავა ადვილი გადასაწყვეტია, არის სასამართლო, არიან ექსპერტე-  
 ბი. მხოლოდ როცა ეყრდნობიან ბუნებრივ უფლებას, იქ კი ძალაა სა-  
 ჭირო, ვინაიდან ისეთი სანტიმენტალურ სახელმწიფო არ არსებობს,  
 რომელიც, თუ ძალა არ ადგია, თავისი ნებით დაუთმოს ვისმე თავი-  
 სი ტერიტორია, კიდევაც რომ მასზე დასახლებული მცხოვრებნი ამას  
 მოითხოვდნენ.

ყარსის ხელშეკრულებამ მიანიჭა სადაო ტერიტორიაზედ მოსახ-  
 ლეობით უფლება, ეგრედ წოდებული ოპოციონის, მაშასადამე,  
 აქარლებს შეეძლოთ უარი ეთქვათ საქართველოს მოქალაქეობაზე,  
 არტაანისა და ყარსის მცხოვრებთ ოსმალეთის მოქალაქეობაზე. რამ-  
 დენადაც ჩვენ ვიცით, იყო შემთხვევა მენშევიკურ საქართველოდან  
 ოსმალეთში წასვლისა და არა ოსმალეთიდან საქართველოში წამოს-  
 ვლისა. მე ამის შესახებ არავითარი პოზიტიური მასალა არ მომეპო-  
 ვება, საინტერესო არის კია.

ვინც ფიქრობს, რომ სადაო ტერიტორია ისტორიულად საქართვე-  
 ლოს ეკუთვნოდა, მან უნდა დაამტკიცოს შეუძლებელი რამ, ე.ი.  
 იურიდიული მემკვიდრეობა იმ ისტორიულ საქართველოსა და 1918  
 წელს ბათუმში შობილ საქართველოს შორის. ისტორიულად სადაო  
 ტერიტორია არა საქართველოს არამედ ოსმალეთს ეკუთვნოდა, ვინა-

იდან ამ ტერიტორიაზე ოსმალეთის ხელისუფლება ბატონობდა შემდეგ და უფრო ადრეც ვინემ თანამედროვე საერთაშორისო უფლება წარმოიშვებოდა; მერე ეს ტერიტორია გახდა ხელშეკრულების საგანი ოსმალეთსა და რუსეთს შორის. საქართველოს უფლება ემყარება საგარეო უფლებრივ მემკვიდრეობას რუსეთის ნგრევიდან წარმოშობილს. რომ არ ყოფილიყო ოსმალეთის გამოსვლა ომში, საქართველოს დარჩებოდა ის ტერიტორია, რომელსაც იგი ფაქტიურად დაიცავდა რუსეთის ტერიტორიიდან. თუ ის ოსმალეთის საზღვრებს გადალახავდა, აქ მას ერთი მხრივ იარაღი დახვდებოდა და ამასთანავე საგარეო უფლებაც, ვინაიდან საქართველო იქნებოდა დამცემი, საგარეო უფლების ფეხქვეშ გამთელავი. ოსმალეთმა წააგლიჯა ბათუმი ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთს, მაშასადამე, ბათუმი ოსმალეთისა იყო. მოინდომა საქართველომ მისი წართმევა, აქ ბუნებრივი საგარეო უფლება საქართველოს მხარეზე იყო, ვინაიდან უმეტესობა მცხოვრებლებისა შთამომავლობითაც და ფსიქიკითაც ქართველები იყვნენ. ვერ გაანადგურა საქართველომ მისი ბუნებრივი, ე.ი. მორალური უფლება, და წააგო ომი, დაკარგა ახალციხე და ახალქალაქი. ოსმალეთმა მიიღო დოკუმენტი უკვე მენშევიკურ საქართველოს მიერ ხელმოწერილი, ახალი წყარო პოზიტიურ უფლებისა, ბათუმის ხელშეკრულება. როგორი იყო ამ ხელშეკრულების იურიდიული ღირებულება? ჩვენი მოწინააღმდეგენი ამბობენ რომ ის არ იყო სავალდებულო, ვინაიდან, საქართველოს მთავრობას ძალით მოახვიეს ეს ხელშეკრულება, როგორც ომში დამარცხებულსაო. მაშასადამე, საზავო ხელშეკრულებას არავითარი ძალა არა ჰქონია, ვინაიდან ყოველ საზავო ხელშეკრულებაში ერთი დამარცხებულა, მეორე გამარჯვებულა, უკანასკნელი უკარნახებს პირველს ხელშეკრულების პირობებს. აქ მეუნდა შევნიშნო ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რომ საგარეო უფლება ერთია, და სამოქალაქო უფლება სხვა. ერთია საგარეო უფლებრივი ინსტანცია, და მეორეა — თბილისის სამოსამართლო დაწესებულებანი. სამოქალაქო უფლებაში ძალის ხმარება აუქმებს ხელშეკრულებას, უკარგავს მას იურიდიულ ღირებულებას. საერთაშორისო უფლებაში ძალის ხმარებას ეწოდება თვითდახმარება. მხოლოდ ერთ შემთხვევაში უკარგავს ძალის ხმარება საერთაშორისო ხელშეკრულებას იურიდიულ ძალას, ე.ი. აძლევს მოწინააღმდეგე მხარეს არ იცნოს იგი კანონიერად, როცა ძალას ხმარობენ თვით დელეგატთა მიმართ. აი, მაგალითად, ბათუმში ოსმალეთის წარმომადგენელნი რევოლვერებით თავზე დასდგომოდნენ ბ. გვაზავას, რამიშვილს და სხვა დელეგატებს და ეთქვათ მოაწერეთ ხელი, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო; მაშინ შეიძლებოდა თქმა იმისა, რომ ბათუმის ხელშეკრულებას არა აქვს არავითარი იურიდიული ძალა. მაგრამ გვეუბნებიან, ბათუმში ოსმალეთს საქმე საქართველოს კანონიერ წარმომადგენლებთანა ჰქონდა, უარსში კი უზურპატორები იყვნენო; ბ. მ. წერეთლის აზრით კანონიერ მთავრობას „მეტეც შეეძლო დაეთმო“, მაგრამ ეს იქნებოდა აქტი კანონიერ მთავრობის. კეთილი და პატიოსანი. ჩვენი პოზიცია ასეთია — უფლე-

ბა რჩება უფლებად, — თანახმად ბათუმის ხელშეკრულობისა ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი იყო ოსმალეთის ტერიტორია, და არა საქართველოსი, საქართველოს მთავრობამ ეს ტერიტორია დაუთმო ოსმალეთს, დაუთმო არა იმიტომ, რომ ეს იყო მისთვის სასიამოვნო, არამედ იმიტომ, რომ იყო იძულებული. ამ შემთხვევაში ერთში უნდა შევთანხმდეთ: როცა ვისმე ტერიტორიას უთმობენ ხელშეკრულებით, ეს ტერიტორია ხდება იმის ტერიტორიად, ვისაც უთმობენ და იგი ხდება ელემენტად მისივე ტერიტორიალურ ინტეგრირაციისა. ცნობა ამ ხელშეკრულობისა ნიშნავს ცნობას სახელმწიფოს ტერიტორიალურ ინტეგრირაციის, არა ცნობა კი ნიშნავს ამ ინტეგრირაციის შელახვას. ყარსის ხელშეკრულებით, ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელიც მენშევიკურმა საქართველომ ბათუმის ხელშეკრულებით დაუთმო ოსმალეთს — უკან დაიბრუნა; დაიბრუნა ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი. ყარსი, არტაანი შერჩა ოსმალეთს. მაშასადამე, ბათუმის ხელშეკრულებით, ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი, წარმოადგენდა ელემენტს ოსმალეთის ინტეგრირაციისას, ყარსის ხელშეკრულებით კი იგივე ტერიტორია გახდა ელემენტი საქართველოს ტერიტორიალურ ინტეგრირაციის, რომელსაც ოსმალეთი, თანახმად მის მიერ ხელმოწერილი პირობისა, ვალდებულია პატივი სცეს. მხოლოდ ეს ვალდებულება არსებობს იქამდის, სანამ ჩვენც პატივს ვცემთ ოსმალეთის ტერიტორიალურ ინტეგრირაციას. ამისათვის თქვენ ჩვენ მოლაპარაკებებს გვეძახით, მაშასადამე თქვენი პოლიტიკით, ქართველობამ უარი უნდა სთქვას ამ ხელშეკრულობაზე, ე.ი. გაანთავისუფლოს ოსმალეთიც ამ ხელშეკრულობისაგან და საკითხი უნდა გადაჭრას ძალთა განწყობილებამ, აი თქვენი პოლიტიკა. მაშასადამე ვინ უთმობს აქ, ის ვინც, სცნობს რა ვალდებულებას ყარსის ხელშეკრულობისას, ავალდებულებს და უფლებრივ შეძლებას ართმევს ოსმალეთს, შეეხოს საქართველოს ტერიტორიას, ახალციხე, ახალქალაქს და ბათუმს, თუ ისინი, რომელნიც, უარყოფენ რა ყარსის ხელშეკრულებას, ამით უფლებას აძლევენ ოსმალეთს საქართველოს ამ ტერიტორიაზე გალაშქრებისა და მასზე კვლავ თავის უფლების განმტკიცებისას?

ბ. მიხ. წერეთლის შეხედულებით ჩვენთვის სავალდებულოა მხოლოდ კანონიერ მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულება, რაც უნდა საზიანო იყოს იგი. ამ შეხედულების ლოგიკურ შედეგად უნდა ჩავსთვალოთ მისი დებულება, რომ საქართველო ბედნიერი იყო იმ დროს, როდესაც მას მცველად ადგა გერმანია. მაგრამ იმ დროს საქართველოს ტერიტორია თავდებოდა ნატანებში. თუ, მაშასადამე, მიუხედავად ამისა, ბ. მ. წერეთლის აზრით საქართველო ბედნიერი იყო, სჩანს რომ ყოფილა რაღაცა, რომლის წყალობით საქართველოსათვის მაშინაც ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს როცა იგი არა თუ ჭანეთს, ბათუმის ოლქსა, ახალციხეს და ახალქალაქსაც მოკლებული არის. მაშინ მე ვეკითხები ბ. მ. წერეთელს, როდის უფრო იყო საჭირო ეს ბედნიერება საქართველოსათვის, ბედნიერება, რომელსაც არ აქარწყლებს თვით ბათუმისა და ბათუმის ოლქის დაკარგვა, მაშინ, 1918 წ;

თუ ეხლა? და თუ ამ ბედნიერებისათვის ჩვენ მივიღებოდით ისეთი მეთოდით, რომელთან არ არის არც ახალციხე - ახალქალაქის და არც ბათუმის დაკარგვა დკავშირებული, ამისთვის საქართველოს ტერიტორიის გამცემი ჩვენ უნდა გვეწოდებოდეს თუ, ჩვენს მოწინააღმდეგეებთან ერთად თქვენც?

ეხლა დაუბრუნდეთ საკითხს მთავრობის კანონიერებისას. ვთქვათ, მივიღეთ ჩვენ ბ. მ. წერეთლის დებულება: საქართველომ განთავისუფლების დღესვე უკანონოდ უნდა გამოაცხადოს ყარსის ხელშეკრულობა. მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები, რომ ამ ხელშეკრულობის საგანს რეალური უფლება წარმოადგენს, რომელიც ავტომატიურად მოქმედებს, მიუხედავად ამა თუ იმ მხარეში მომხდარ ცვლილებებისა. საზღვრები ოსმალეთისა იქნება მისი საზღვარი დღესაც, როცა საქართველო ბოლშევიკების ხელშია და ხვალაც, თუ იგი მენშევიკების ხელში გადავა. ხელშეკრულობის საგანი რომ ესა თუ ის მოქმედება იყოს, ვსთქვათ ხარკის გადახდა, შეეძლო ამა თუ იმ მხარეს ეთქვა, მე შენ ხარკს არ გადავხდებ, მოსთხოვე მათ, ვინც ეს ვალდებულობა იკისრა. მაგრამ იქ, სადაც საკითხი შეეხება არა ამა თუ იმ მოქმედებას, არამედ რეალურ უფლებას, და თქვენ უარყოფთ ხელშეკრულობას, რომელიც აწესრიგებს ამ უფლებას, თქვენ ხომ მის საზღვარს ვერ გადალახავთ, და თუ გადალახავთ, მაშინ თქვენ ხართ დამცემი და თქვენს წინააღმდეგ იქნება როგორც უფლება, აგრეთვე განსაკუთრებით ძალა. აი, ამაშია რადიკალური განსხვავება ჩვენსა და თქვენს შორის: ოსმალეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა იყოს დამყარებული უფლებრივ ნიადაგზე და არა ძალთა განწყობილებაზე. შემდეგ იმისა, რაც საქართველო კვლავ აღსდგა, ასეთი ხელსაყრელი ხელშეკრულობა მას ოსმალეთთან არა ჰქონია, როგორც არის ყარსის ხელშეკრულობა, და ჩვენ საფუძვლად უდებთ ოსმალეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობას ამ ყარსის ხელშეკრულობას და არა ბათუმის ხელშეკრულობას, გაცილებით უარესს, და აგრეთვე არა ძალთა განწყობილებას, „საკუთარ და სხვის ხიშტებს“. იმ მოსაზრებას, რომ ყარსის ხელშეკრულობაზე ხელი არა საქართველოს კანონიერ მთავრობას უწერია, არამედ უზურპატორებს, ამ საკითხისათვის მნიშვნელობა არა აქვს, შემდეგ იმისა, რაც ეს ხელშეკრულობა შევიდა ობიექტიურ საერთაშორისო უფლებაში. და საქართველოს ტერიტორიის სიდიდის თვალსაზრისით, უფლების მხრივ, ყარსის ხელშეკრულობა უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, ვიდრე ბათუმის ხელშეკრულობა. აი მოკლედ ჩემი პასუხი იმ საკითხის შესახებ, რომლის გარშემო იქნა ატეხილი ჩვენს წინააღმდეგ აღმაშფოთებელი დემაგოგია, და რომელსაც მიხ. წერეთელმა დასტური მისცა თავისი გამოხვლით ისე, როგორც 1905 წელს მან დასტური მისცა ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ წარმოებულ საზიზღარ დემაგოგიას თავისი დუმილით. მე უნდა მოვახსენო კიდევ შემდეგი ბ-ნ მიხ. წერეთელს. მე მაქვს ტექსტი ყარსის ხელშეკრულობისა, მისი ფოტოგრაფიული სურათი ერთა ლიგის რეგისტრიდან გადაღებული, რომელშიაც ეს ხელშეკრულობა არის გატარებული. თა-

ნახმად ჩემი თხოვნისა, ერთა ლიგის მდივანმა მე ეს ფოტოგრაფიული სურათი გამომიგზავნა. საერთაშორისო ხელშეკრულობათა ბუნება მე ვისწავლე მონოგრაფიებით, რომელნიც სბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ, ამიტომ მათი წაკითხვა მე ბევრად უფრო ძვირი დამიჯდა, ვინემ დამიჯდებოდა მათი შეძენა რომ შესაძლებელი ყოფილიყო. მე მოკლედ გავაცანი მკითხველს მეცნიერების დასკვნა ამ საკითხზე, რამდენადაც მე შევძელი საკითხის გაცნობა. თუ თქვენ არ გინდათ ამ საკითხზე იცნოთ ბ. ზურაბ ავალიშვილის ავტორიტეტი, მე თქვენს განკარგულებაში მაქვს ყარსის ხელშეკრულობის ფოტოგრაფიული სურათი. კეთილ ინებეთ და წარუდგინეთ რომელიმე მსოფლიო ავტორიტეტს, გააცანით წინანდელ ხელშეკრულობათა შინაარსიც და თუ მან გვირჩია ამ ხელშეკრულობის უარყოფა, თუ მან აღმოაჩინა მასში ელემენტი მისი იურიდულად გამაქარწყლებელი, მე ვაცხადებ ჩემს თავს დამარცხებულად და ვყრი იარაღს. თუ არა, თქვენ გამოიჩინეთ მეცნიერული კეთილსინდისიერება მაინც, და ნუ ერევით ისეთ სფეროში, რომელშიაც ქართველ ერს თქვენზედ უკეთესი სპეციალისტი ჰყავს.

ვლ. ემუხვარი

### ნაციონალ - სოციალიზმის „რეაქციონერობაზედ“

ამ ქვეყნად ყველაფერი მოძრაობაშია, მუდამ ჭამს ცვალებადობაში. რაც გუშინ, ასე ვსთქვათ, აქსიომად იყო მიჩნეული, აბსოლუტურ ქეშმარიტებად, (თუმცა დიალექტიური მატერიალიზმის გაგებით, აბსოლუტური ქეშმარიტება არ არსებობს, იგი რელატიურია) დღეს საექვოდ არის გამოცხადებული; ყოველ შემთხვევაში, ყოფილ ღირებულებას აღარ წარმოადგენს. ჩვენ ვიმყოფებით ისეთ ხანაში, როდესაც ხდება მრავალ ცნებათა და ღირებულებათა ხელ ახალი გადაფასება, მათი კრიტიკული შეფასება მრავალ ფაქტორთა და ახალ მოვლენათა ზეგავლენით. ბევრმა საგანმა და მოვლენამ, პოლიტიკურ პარტიებმა და მათ წარმოდგენამ ფერი იცვალა და ჩვენ ვხდებით იმის მოწამენიც, მაგალითად, რომ გუშინდელი პაციფისტი, სოციალისტი და ყველა ჯურის დემოკრატი, ომის უკიდურესი მოწინააღმდეგენი, დღეს მისი გააფთრებული მომხრენი არიან. სწორედ ეს გარემოება აიძულებს ინგლისის ლიბერალურ პარტიის ერთ-ერთ გამოჩენილ წევრს მაზონს, რომ ამ პარტიას თავი დაანებოს, ვინაიდან ამ პარტიამ თავის „ძველ პრინციპებს უღალატა და ომის მოციქულად გამოდის“. აი კიდევ: ამ რამოდენიმე წლის წინად, თითქმის უღაო დებულებად იყო მიჩნეული, რომ ავტორიტარულ ქვეყნების, როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური საქმიანობა კაცობრიობისათვის და თავის ქვეყნებისათვის დამლუპველ მოვლენას წარმოადგენდა, ახლა კი მრავალი გამოჩენილი



პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და ეკონომისტი ამ ქვეყნების მუშაობის დადებით შედეგებს პირნათლად აღიარებს.

მაგალითად ამ ქვეყნების თვით უაღრესად მოწინააღმდეგე ლეონ ბლიუმცი კი, მისი საფრანგეთის მთავრობის მინისტრ - პრეზიდენტობის დროს იძულებულია განაცხადოს, რომ „გერმანიის ეკონომიურ პოლიტიკისაგან დემოკრატიამ უნდა ისწავლოს. გერმანიამ უოქროდ და უდევინოდ გრანდიოზულ ინდუსტრიალურ აყვავებას მიაღწია და ჩვენ მას არ უნდა ჩამოვრჩეთ“. შემდეგ: ჩეხო-სლოვაკიის უკანასკნელი კრიზისის დროს ჩვენ გვესმის ჯანმრთელი ალლოთი გამოწვეული ფრიად საყურადღებო, მუშათა ხმა. ამ ქვეყნის ყოფილ პროვინციებში: აუსიგში, ბრუქსში, რაიხენბერგში, გობლენცში და გაინსდორფში გავრცელდა სოციალ დემოკრატიული ფურცლები, სადაც აცხადებენ შემდეგს: „ამხანაგებო! ჩვენ ფუნქციონერები და წევრები ჩეხო-სლოვაკიის გერმანელ სოციალ დემოკრატიული პარტიისა, ჩვენი საერთო სამშობლოს უდიდეს გაჭირვების ჟამს ვაცხადებთ, რომ ყოველ კლასიურ განსხვავებათა მიუხედავად ჩვენს მამულიშვილურ ხელს ვუწვდით ყველა ძმებს მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ამ საშიშროების წამს ჩვენს გერმანულ სისხლს არ ვუღალატებთ და ერთად ვიბრძობთ ჩვენს საერთო თავისუფლებისათვის და თვითგამორკვევის უფლებისათვის. ჩვენ ვართ დაბადებულნი, როგორც გერმანელები და პირველი სიტყვა, რომელიც ჩვენმა დედებმა ჩვენს აკვანში ჩამოგვძახეს იყო გერმანული. როგორც პატიოსანი მუშები ვაცხადებთ, რომ, როდესაც 1933 წელს ნაციონალ-სოციალიზმმა გერმანიაში გაიმარჯვა, ჩვენ როგორც ანტიფაშისტები სასტიკი მოწინააღმდეგენი ვიყავით ამ სახელმწიფოსი, მაგრამ ამის შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაუარა მოლდავას და ელბას იქითა მხარეს, ჩვენ საერთო სამშობლოში მოხდა მრავალი ცვლილება, რომელსაც თუმცა ჩვენ შორიდან ვადევნებდით თვალს, მაგრამ ბევრი ჩვენთაგანი ჩააფიქრა. ჩვენ უნდა გამოვტყდეთ, რომ იქ, სულ ცოტა, უმუშევრობა მოსპობილია და მუშათა სოციალური მდგომარეობა იმ ხარისხამდეა ასული, რომელიც ჩვენ მაღლა უნდა დავაფასოთ“.

დამეთანხმებით, რომ ეს ენა ცოტა სხვანაირია, ვიდრე ჩვენ ჩვეულებრივად გვსმენია. გამომდინარეობს იმ ღრმა ცვლილებებიდან, რომელიც გერმანიაში მოხდა ამ ხუთი წლის განმავლობაში, და მეც, როგორც ერთ მოწმეს ამ გრანდიოზულ, საფუძვლიან ცვლილებათა, სურვილი მაქვს, მოთხოვნილება და ერთნაირი მოვალეობაც, ობიექტიურად შევაფასო, შეძლების და მიხედვით, და უპასუხო ზემოდ დასმულ საკითხს: გერმანიაში მართლა გაიმარჯვა „კონტრ - რევოლუციამ“, რეაქციამ, როგორც ჩვეულებრივი შაბლონით გავრცელებულია სოციალისტურ წრეებში, თუ აქა გვაქვს საქმე ღრმა ეკონომიურ, პოლიტიკურ და ეროვნულ ცვლილებებთან, რომელნიც, სულ ცოტა, სერიოზულ შესწავლას და პირუთვნელ დაკვირვებას მოითხოვს.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ინგლისის მუშათა პარტიის თვალსაჩინო წევრი მისტერ კერანი ამას წინად ესტუმრა საპროპაგანდო სა-

მინისტროს ხელმძღვანელს, მინისტრ გიობელსს, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა გერმანიის სამეურნეო და სოციალ-პოლიტიკის პრინციპიალურ საკითხებზე, მისი დაწვრილებითი და საფუძვლიანი შესწავლის მიზნით.

მაშ ეხლა ვიკითხოთ, მაინც რაში უნდა გამოხატულიყო ეს „კონტრრევოლუცია“, ცხოვრების რა დარგებს და მხარეებს უნდა შეხებოდა იგი? ჩვენის წარმოდგენით სახელმწიფოს, ერის ცხოვრების უმთავრესად სამ მხარეს: პირველი — ეროვნულს; მეორე — სოციალურ დარგს და მესამე — მმართველობას.

ჩვენც განვიხილოთ ესენი ცალ-ცალკე.

### 1. ეროვნული მხარე.

ყველასათვის უდაო უნდა იყოს, რომ არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს თუ გინდ ყოვლად კარგი პოლიტიკური რეჟიმი, ან სოციალურ საკითხის ესა თუ ის მოგვარება, როდესაც ერი დაპყრობილია, მის სხეულს უცხო უღელი ადგია.

ამ საშინელ მდგომარეობას ჩვენც, ქართველები, განვიცდით ჩვენს თავზე. ამიტომაც რომ პირველი და უწინარესი პირობა ერის ცხოვრებისა, მისი თავდაცვის საკითხია, მისი ეროვნული მეობის უზრუნველყოფაა, ე.ი. იმ ნიადაგის, საფუძვლის აღდგენა, დაცვა, რომელზედაც მხოლოდ შეიძლება ამა თუ იმ სოციალ-პოლიტიკურ რეჟიმის დამყნობა.


აი სწორედ გერმანიასაც მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, განაიარაღეს რა სრულიად, შეიძლება ითქვას, მოუსპეს თავდაცვის ყოველივე უნარი. მისი მხედრობა, ჩამოყვანილი ასი ათას კაცამდე, შინაურ დაცვის საქმესაც აღარ ჰყოფნიდა. ტერიტორიალურად ჩამოსჭრეს საკმაოდ დიდი ნაწილები, რომლის გამო ეკონომიურად დააუძლურეს, რაც თავის მხრივ იმავე მიზანს, სამხედრო დასუსტებას უწყობდა ხელს. დაადეს ვერსალის ხელშეკრულობის მიხედვით, პლანეტარულ ციფრებით გამოსათქმელი კონტრიბუცია-რეპარაცია, რამაც მისი ფინანსიური ცხოვრება სრულიად აწეწ-დაწეწა. გარდა ამისა, გერმანია, ომის წაგების შემდეგ, იძულებული იყო გაენადგურებინა, თანხმად ზავის პირობებისა: 50 ათასი ზარბაზანი, 6 მილიონი თოფი და 17000 ჰაეროპლანი; ჩამოერთვა სამხედრო ფლოტი. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ გერმანიის ხალხის ეროვნული თავმოყვარეობა შეურაცხყოფილი იყო. საზავო პირობებით დაბეჩავებული, ღრმა პროტესტს აცხადებს ამნაირ ძალმომრეობის წინააღმდეგ. ჯერ ეს ხდება პატარ-პატარა ჯგუფების საშუალებით, მაგრამ რაც დრო გადის ეს მცირე ჯგუფები უფრო თამამდებიან, მეტი იმედებით იჭურვებიან, თანდათან იზრდებიან და ბოლოს, დასაწყისში პატარა ძალებით დაწყებული მოძრაობა, დიდ ეროვნულ ტალღად იქცევა. ნაციონალ-სოციალიზმის გამარჯვება, ბევრისათვის ასეთი მოულოდნელი, უმთავრესად და პირველ ყოვლისა ამ მომენტით აიხსნება. ხელისუფლება,

რომელიც ერის ამ განწყობილებას ვერ შეიგნებდა და სათანადო დასკვნებს არ გააკეთებდა, წინასწარ განწირული უნდა ყოფილიყო. და აკი ასეც მოხდა. მიუხედავად მრავალ ათეულ წლობით ჩამოყალიბებულ პარტიების არსებობისა, ამ მოძრაობამ გადალახა ყოველივე პარტიული საზღვარი, ყველა წრეში შეიჭრა და ეროვნულ თავმოყვარეობის აღდგენის მეზარაღტრედ გადაიქცა. მის სახარებად გახდა გერმანიის შესანიშნავ სტრატეგის და უდიდეს სამხედრო მეცნიერის გენერალ კლაუზევიცის სიტყვები:

„მწამს და ვაღიარებ, რომ ერს არაფერი აქვს იმაზე მაღლა დასაფასებელი, როგორც თავისი ეროვნული ღირსება და თავისუფალი არსებობა; რომ ის ვალდებულია დაიცვას ეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე; რომ ამაზე მეტი წმინდა მას არა აქვს რა, არავითარ სხვა უმაღლეს კანონს არ უნდა ემორჩილებოდეს გარდა ამისა; რომ სამარცხვინო დაღი, მშიშარა და მხდალი დამორჩილებისა მტრისადმი, არასოდეს წარიხოცების; და ასეთი შხამიანი წვეთები, ხალხის სხეულში ერთხელ ჩაწვეთებული; შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცემის; და რომ პირიქით, ერი, მრავალ სხვა პირობებთან ერთად, დაუმარცხებელია თავის თავისუფლებისათვის გაუტეხელ ბრძოლაში; რომ თვით ამ თავისუფლების დაკარგვა სისხლიან და ღირსეულ ბრძოლაში ერის მეორედ დაბადებას უზრუნველყოფს და ეს მისი სიცოცხლის თესლია, რომლისაგან ერთხელაც არის ახალი ხის ნამდვილი ფესვები ამოხეთქავს. მე ვაცხადებ საქვეყნოდ და აღთქმასა ვსდებ აწმყო და მომავალ თაობის წინაშე, რომ ყალბ სიბრძნეს, რომელიც ახლანდელ საშიშროებას გაურბის, ყველაზე დამლუპველადა ვსთვლი, რომელსაც ერში მხოლოდ სიწამხდრისა და უღირსი სიმხდალის ჩანერგვა შეუძლიან“.

ამ მოძრაობას თავისი გამანადგურებელი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სოციალ დემოკრატიულ წრეებში, არამედ თვით კომუნისტებშიც. ვინც ამ მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებდა, იმ გრანდიოზულ ბრძოლას, რომელიც მაშინ გერმანიაში სწარმოებდა, მას მხედველობიდან ეს მოვლენა არ გამოეპარებოდა. ამ სტრიქონების დამწერს თვით უდევნებია თვალის ამ განვითარებისათვის და ზოგიერთ სოციალ დემოკრატიულ კრებაზე განცვიფრებაში მოსულა პარტიულ მასის ასეთ ცვალებადობის გამო. პარტიული მასსა ამ კრებებზე, უკმაყოფილო პარტიული მეთაურობით, რომელიც როგორც სჩანდა უფრო ჰაერზე იყო გამოკიდებული, ხან ნაციონალ-სოციალიზმისაკენ იხრებოდა, ხან კიდევ რადიკალურად განწყობილ კომუნისტებისაკენ. აქ ერთი გარემოება არის აღსანიშნავი: მრავალი უბრალო კომუნისტი თავის კომუნისტობას იმით ასაბუთებდა, რომ მისი წარმოდგენით კომუნისტურ რუსეთთან კავშირი და მისი გამარჯვება გერმანიას მორეცხდა იმ სირცხვილს და დამცირებას, რომელიც ომში დამარცხებით მოუვიდა. ამ უკიდურეს ფრთაშიაც კი ეროვნული მომენტი მთავარ, გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

აი ამ გარემოებამ, გერმანიის ხალხის ფართო მასების ამ უკმაყო-



ფილებამ ხელი შეუწყო ნაციონალ-სოციალიზმის მოსვლას გერმანიაში. გაამართლა თუ არა ნაციონალ-სოციალიზმმა გერმანიის ხალხის ეს დაუფარავი მისწრაფება? ვფიქრობ, დღეს მისი მტერიც და მოყვარეც უდაოდ დაადასტურებს, რომ ამ მხრივ ყოველივე მოლოდინს, შორეულ ფანტაზიასაც კი გადააჭარბა და რაც მთავარია, შედარებით, სულ მოკლე ხანში.

ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინ, — მსოფლიო ომში დამარხებული და მიწასთან გასწორებული გერმანია — მეტად სუსტი იყო, დღეს კი იგი ფეხზეა წამომდგარი და ერთ უშველებელ კოლოსად გარდაქმნილი, 80 მილიონ მოსახლეობით, პირველ ხარისხოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული, ეროვნულად განმტკიცებული, უდიდესი სამხედრო მომზადებით, რომელსაც უდიდეს ანგარიშს უწევენ მისი გუშინდელი მოწინააღმდეგენი, ამაყად შეჰყურებს მომავალს და იმედებით იჭურვება. აი ისტორიული სინამდვილე და ეს მოხდა ჩვენს თვალწინ. ამის შემდეგ ბუნებრივია, რომ, აღვნიშნავ რა ამ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებას, დარწმუნებული ვარ დამეთანხმებით, რომ, ვინც არაა გამოუსწორებელ დოკტრინიორობით შებოჭვილი, ის ამ გამარჯვებას უდიდეს დამსახურებად ჩაუთვლის ნაციონალ-სოციალიზმს თვით ერის წინაშე.

ჩვენი წმინდა მოვალეობაა გულახდილად ვაღიაროთ, რომ ამ სასწაულს, ერის ღირსების ასეთ სიმალლეზე აყვანას, ვერც ერთი ძველი პარტია არა თუ ვერ შესძლებდა, არამედ თავისი შინაგანი წყობით და ტრადიციებით, ორგანიზულად უმწეო, უუნარო იყო ამ გრანდიოზული ამოცანისათვის.

ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინონ, და თვალნი ხილვად — იხილოს! მეორე წერილში გაგაცნობთ — ნაციონალ-სოციალიზმმა რა შედეგებს მიაღწია სოციალურ დარგში.

დ. საღირაშვილი


ბერლინი.

### † ლენერალი ზ. ბაქრაძე

ეხლახან გარდაიცვალა პოლონეთში, ავტომობილის ჭებედური შემთხვევისაგან, ქართული ჯარის ლენერალი — ზაქარია (შაქრო) ბაქრაძე, ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძის შვილი.

მამა — ისტორიკოსმა აღზარდა იგი იშვიათ პატრიოტად და მხედრად. შაქრო ბაქრაძე მართლაც აღზნებული პატრიოტი იყო და გატაცებით უყვარდა ყველაფერი ქართული.

ერთმანეთს ვიცნობდით ბავშვობიდან, მაგრამ ბედმა დაგვაშორა: მე ვმსახურობდი პოლონეთში, ის, შორეულ აღმოსავლეთს — პორტარტურში. რუსეთ იაპონიის ომის დროს მოვხვდით ერთსა და იმავე




პოლკში: მე ასეულის თავად, იგი ცხენოსანთა მზვერავებისა. უკვე ამ პატარა თანამდებობაში იჩინა მან თავი სამხედრო ნიჭით. ბრძოლაში მშვიდმა, პირადად — გულადმა შაქრომ დაიმსახურა უაღრესი ნდობა ხელქვეითებისა. ყოველთვის რაინდი, მეტადრე ამხანაგებისადმი, იშვიათი მაღალი ზნეობისა, მან ჩაუნერგა ყველას ამხანაგური გრძნობა, გრძნობა ერთურთის დახმარებისა და რაინდული მოპყრობისა მტრისა და მცხოვრებთადმი.



მაგონდება დამახასიათებელი შემთხვევა: ერთხელ მოვხვდი მისი დაზვერვის ფარგალში და გზის პირას, იაპონელებისაკენ რომ მიდიოდა, დავინახე ახლად გათხრილი საფლავი. ძელზედ მიკრულ ფიცარზედ ეწერა: „გულად იაპონელებს — გულადი რუსებისაგან“. უბრალო, მაგრამ ბევრის მოქმელი წარწერა. „იცი — მითხრა შაქრომ — ჯარისკაცებმა თავისით გათხარეს საფლავიც, მხედრული ზეიმით დამარხეს და წარწერაც თითონ გააკეთეს, მე არაფერი მიბრძანებია“ო. თურმე წინა დღეებში შეტაკება ჰქონია იაპონელებთან და ორი მათგანი მოუკლავთ.

რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ კაპიტანი, იგი დანიშნული იყო



შტაბ-ოფიცერის თანამდებობით ტყვისმფრქვეველთა ასისტავად, რაც მაჩვენებელია თუ როგორ აფასებდნენ შაქროს, რადგან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მაშინ დივიზიაზედ ტყვისმფრქვეველთა მხოლოდ ორი ასეული იყო.

1914—18 წლის ომში ის უკვე პოდპოლკოვნიკია დასავლეთ ფრონტზე. შეუდარებელი მხედარი, ის უკვე პირველ ქრისტიანობისთვის 1914 წლისა, ე.ი. დასაწყისშივე, დაჯილდოვებულია წმ. გიორგის მეოთხე და მესამე ხარისხის ჯვრით. უკანასკნელი ჯილდო იმდენად იშვიათია, პოდპოლკოვნიკის ხარისხში, რომ სამ-ოთხ ადამიანს თუ ეღირსა და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში. კორპუსი, საცა მსახურობდა ბაქრაძე ჩავარდა საშინელ გასაჭირში და იძულებული იყო დაეხია. სხვა უფროსებმა უარი სთქვეს ყველაზედ ძნელ, მფარველ უკანმავალი ჯარის ბრძანებლობაზედ. შაქრომ არა მარტო უარი არა სთქვა, გასაოცრად შეასრულა დაკისრებული ამოცანა: მან თითონ შეუტია იერიშით წამოსულს, რუსის მღევარ მტერს, გადაადგო იგი, წაართვა რამდენიმე ზარბაზანი და წამოასხა რამდენიმე ათასი ტყვე. ამ ბრწყინვალე გამარჯვებით არა მარტო საშუალება მისცა საკუთარ კორპუსს — მშვიდად დაეხია, არამედ მეზობელ რუსის კორპუსებსაც.

ღირსეული ჯილდო წმ. გიორგის მესამე ხარისხისა — მართლაც ღირსეულ საქმისათვის მიიღო მან, მეტადრე იმ უნუგეშო დახვეის დროს, რუსის ჯარმა რომ განიცადა.

1915 წ. დასაწყისში ლენერალი ბაქრაძე ჩავარდა ტყვედ და მხოლოდ ომის გათავებისას ჩამოვიდა მის საყვარელ საქართველოში, რომლის ჯარშიაც შეჰქონდა თავისი წვლილი. ქართველ-სომეხთა ომში ის ოფიცერთა ათასეულის თავია და ახალციხის ლაშქრობაში — ქართული მესამე ათასეულისა.

ეს უებრო მხედრი, რომელმაც გაატარა ცხოვრება პირველ საბრძოლველ ხაზებში, სიამაყე ქართველი მხედრობისა, ქართული მხედრობის რეორგანიზაციის დროს 1919 წ. ჩაკარგული იყო სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში, რომელი თანამდებობაც სრულებით არ შეეფერებოდა მის მხედრულ ნიჭსა და გამოცდილებას.

გული მტკივა, რომ მისი გვაში განისვენებს უცხო მიწაში და არა მისგან იშვიათი აგზნებული სიყვარულით სათაყვანო სამშობლოში. მშვიდობა შენ სახელოვანო სახელოვან ქართველ მხედართა შორის.\*).

გ. კვინიტაძე

\*) ლენ. შაქრო ბაქრაძე „კავკაზ“ „კავკასია“ში თანამშრომლობდა და მხარს უჭერდა კავკასიურ მოძრაობას. ჩვენ რედაქციას ხელთ აქვს ბევრი მისი პატრიოტული ნაწერი. რედ.

ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნას

ჟურნალი „ნაკადული“ 1911 წლის მაისში სწერდა:

„ეკატერინე გაბაშვილს საიუბილეო დღესასწაული ზაუმართეს ქართულ თეატრის დარბაზში. რასაკვირველია, თეატრი გაჭედილი იყო ხალხით და ადგილის უქონლობის გამო ბევრიც დაბრუნდა შინ გულდაწყვეტილი. ყველას ენატრებოდა ამ დღეს ეკატერინეს ნახვა; იმის მოსიყვარულე, სიმპატიით სავსე სახე ამ დღეს რაღაც განსაკუთრებულის მადლით და შვენებით იყო აღბეჭდილი. არც ერთ ფოტოგრაფიულ სურათს არ ძალუძს გადმოგცეთ ადამიანის სულის მოძრაობა, იმის სულიერი „მე“, ამიტომაც არც ერთი სურათი ეკატერინესი იმის სულს ვერ დაგანახვებთ. ეკატერინეს ნახვა, განსაკუთრებით ამისთანა დიდებულ დღეს, მართლაც რომ სანატრელი იყო. მშვენიერი სანახავი იყო, როცა ფარდა აიხადა და ყვავილებითა და მცენარეებით ლამაზად მორთულ სცენაზე, სადაც ისხდნენ და იდგნენ მრავალი დეპუტაციები და ქართული ტანისამოსით მორთული მომღერალთა გუნდი, ჩვენმა სასიქადულო მგოსანმა აკაკიმ გამოიყვანა იუბილიარი ხალხის წინაშე, თავ-თეთრ მოხუცი ეკატერინე მოდიოდა მდაბლად, მორცხვად გაღიმებული. ბავშვთა პატარა გუნდი ყვავილებს უფენდა მას ფეხქვეშ. მომღერალთა გუნდი სალამს უგალობდა.

შუა სცენაზე აკაკი შეჩერდა. შესწყდა გალობა და აკაკიმ, მოკლე გრძნობიერი სიტყვით გამოსთქვა, რა ვალი ედვა ქალს ძველად ერის წინაშე და რა ვალი ადევს ახლა. შემდეგ მიულოცა დღესასწაული იუბილიარს, როგორც ამ ახალ მოვალეობის მაჩვენებელ მწერალს. ამ დროს, როგორც ყოველთვის სჩვევია გულწრფელ ეკატერინეს თავმდაბლობა და ფაქიზი გრძნობა, დიდებულ მგოსნის წინაშე თავი მოიხარა და ღირსეულ მოძღვარს ხელს ეამბორა; თითქოს ეუბნებოდა:— შენ, შენ გეკუთვნის მთელი დიდება და აღტაცება, შენ მინათებდი გზას, შენი მაგალითი მასულდგმულებდა, ერის დიდებავ, დიდო მგოსანო აკაკი, შენ წინაშე მე მცირე ვარო. — ბევრს გული აუყუჩდა და ცრემლი მოჰგვარა ამნაირმა თავმდაბალმა საქციელმა. ყველას დაავიწყა, რომ იქ იდგა ქალი და მამაკაცი, არამედ თვალსაჩინო ჰყო ის, რომ იქ ქართველ ხალხის წინაშე იდგა ორი ადამიანი, ორი სიამაყე ქართველი ერისა, უფროსი, დიდებული მგოსანი აკაკი და უმცროსი, დიდი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი.

შემდეგ ეკატერინეს მიულოცეს ქართველი ერის სხვა და სხვა დაწესებულებათა და რედაქციების წარმომადგენლებმა.

„ნაკადული“ს რედაქციამაც, რასაკვირველია, მიულოცა ორმოცი წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა და უსურვა კიდევ მრავალი წლის სიცოცხლე ქართველი ერისა და მოზარდ თაობის საბედნიეროდ.

პირველად, სანამ მილოცვა დაიწყებოდა, სცენაზე ითამაშეს ეკატერინეს მოთხრობიდან ამოღებული ერთი ჩინებული სცენა: — „ნიშნობა სოფლად“. მწერლებმა ს. მგალობლიშვილმა და გ. დიასამიძემ წაიკითხეს ეკატერინეს მოთხრობები და ჩვენმა მწერალმა და პედაგოგმა ნ. ლომოურმა — ეკატერინეს და მისი მოთხრობების დახასიათება“.

ამის შემდეგ გავიდა კიდევ 27 წელიწადი ეკ. გაბაშვილის დაუ-  
 ლალავი მოღვაწეობისა და 1938 წ. იგი გარდაიცვალა.

შეიძლება ითქვას, ეკატერინე გაბაშვილის სიკვდილით ამ ქვე-  
 ყნიდან წავიდა უკანასკნელი პირი იმ თაობისა, რომელმაც ახალი სა-  
 ქართველო შექმნა, და ასეთ პიროვნებაზე ამბობენ ემიგრაციაში:

— „გვინდოდა ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნა აღგვენიშნა, მაგრამ  
 უსიამოვნებისა შეგვეშინდა“. მართლაც ასეთი მითქმა მოთქმის შე-  
 დეგმა იჩინა თავი შობის ხეზე, რომელიც მხოლოდ სიბრალულს იწვევს  
 უგზო-უკვლო, უპატრონოდ მინებებულ ჩვენი ახალგაზრდობისადმი.

არც ერთმა ჟურნალმა ღირსად არ ჩასთვალა ეკატერინე გაბაშვი-  
 ლის მოგონება ორიოდ სიტყვით მაინც.

რევაზ გაბაშვილი რომ „საზოგადოებიდან გამორიცხული“ იყოს,  
 — რითაც მას გაუმასპინძლდნენ შობის ხეზედ, — ეკატერინე გაბა-  
 შვილს ხომ არ წაერთმევა მისი სამშობლოსა და საზოგადოების წინა-  
 შე დამსახურება. აი სიტყვები ეკატერინე გაბაშვილისა, რომელიც  
 მოჰყავს პროფ. ა. ხახანაშვილს ქართული მწერლობის ისტორიაში:  
 „რაც შეეხება ჩემ პატრიოტულ გრძნობების განვითარებას, ეს რასა-  
 კვირველია, ჩვენი მიმდინარე ლიტერატურის ზედგავლენით მოხდა;  
 მეტადრე ილია ჭავჭავაძეს კალმის, მისი უკვდავი „მგზავრის წერილე-  
 ბი“ს ზედგავლენა უაღრესი იყო ჩემზე: „რას ვეტყვი ჩემს სამშობლოს  
 და რას მეტყვის იგი მე?“ აი სიტყვები, რომელნიც მამხნეებდნენ და  
 შეძლებისა და გვარად მაწარმოებდნენ. და, აი, დღეს... გულახდით  
 შემოძლიან უთხრა ჩემ ქვეყანას: ყოველი წამი ჩემის სიცოცხლისა გე-  
 კუთვნის შენ და შენი გაუმჯობესობის სურვილს. და თუ ჩემი ნაბიჯი  
 მკრთალი და უფერულია, ნუ დამსჯი, ის ხომ რაც არის, შენია და შენ  
 გეკუთვნის!“.

რამდენი თაობა აღიზარდა მისი საბავშვო ლიტერატურაზე.

რამდენი თაობა ღარიბი ქალებისას მიეცა საშუალება სწავლისა  
 მისგან დაარსებულ ქალთა სახელოსნო სასწავლებელში.

მისი ნაწერები უურადლებას იქცევს კაცთმოყვარეობით, სიბრალუ-  
 ლის გრძნობით და ამაღლებული იდეებით განსპეტაკებული.

მისი წერილები საქართველოდან, მიუხედავად სულიერი და მა-  
 ტერიალური გაჭირვებისა, იყო აღჭურვილი ზრუნვით და მწუხარებით  
 არა მარტო თავის შვილზე, არამედ ყველა ქართველზე: ყველას კით-  
 ხულობდა, ყველაზე სწუხდა. გზავნიდა წიგნებს სიხარულით, რადგან  
 იცოდა, გარდა შვილისა, სხვებიც სარგებლობდნენ და უკანასკნელად  
 იწერებოდა შეწუხებული: „სიხარულით გავეშურე ფოსტისკენ წიგნე-  
 ბის გამოსაგზავნად, მაგრამ არ მიიღეს და გულდაწყვეტილი დავბრუ-  
 ნდი სახლში. წიგნები შეკრული მიწყვია, იმედს მაინც არა ვკარგავ გა-  
 მოგზავნისას“. — მაგრამ მას აქეთ აღარც წიგნები და აღრც წერილი  
 აღარა სჩანს.

მართლაც ყოველი წამი მისი სიცოცხლისა ეკუთვნოდა სამშობ-  
 ლოს და უკანასკნელ წამამდე მით უფრო წამებულნი, რომ ბოლო  
 წლების წერილებში თავისებურად ახდილად ველარა სწერდა გამა-



მხნევებელ სიტყვებს, რომელნიც, სტრიქონსა და სტრიქონს შუა უნდა ამოგეკითხათ.

არა მაქვს სიტყვა გულის ტკივილის გამოსათქმელად ასეთი გულგრილობის აღსანიშნავად, — ჩვენი ძვირფასი, საყვარელი, მუდამ ტკბილად მოსაგონარი ეკატერინე გაბაშვილისადმი. მაგრამ ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობა უკვე ღირსეულადაა დაფასებული ქართველი ერისაგან და „ისტორიამ სიცოცხლეშივე მიუძღვნა მას უკვდავი მამულიშვილის გვირგვინი“, როგორც აღნიშნავს პროფ. ალ. ხახანაშვილი.

ელისაბედ ყიფიანი

### კავკასიის ოფისი

ქართულმა საზოგადოებამ და პრესამ ნაკლები ყურადღება მიაქცია გერმანიაში კავკასიის ოფისის დაარსებას. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. დიდი ხნის განმავლობაში ქართველი და სხვა კავკასიის ერების ლტოლვილები უპატრონოდ იყვნენ მიტოვებულნი. არავინ ზრუნავდა მათს უფლებრივ და ნივთიერ მდგომარეობაზე. თუმცა წინად არსებობდა საქართველოს მისია, მაგრამ ის გაუქმებულ იქმნა წინანდელ მთავრობის მიერ, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურ რუსეთმა დაიპყრო საქართველო.

უნდა სიმართლე თქვას, მიუხედავად ამისა, გერმანელ ხალხს არასდროს მოუკლია თავისი ყურადღება და ამ ხნის განმავლობაში განუსაღვრელი იყო საზოგადოებრივი აზრის და პრესის სიმპატიები და მორალური თანაგრძნობა კავკასიელთა მიმართ.

სისტემატიური მხილებით ისინი ლახვარსა სცემდნენ ჩვენს დამპრობებლებს. ეს ჩვენ ნუგეშსა გვცემდა და მუდამ გვამხნევებდა გამძლეობა და სულიერი სიმტკიცე შეგვენარჩუნებინა ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის შეუწყვეტლად წარმოებისათვის.

ასევე კეთილშობილურად და გულმოდგინებით მოგვეპყრნენ ფრანგებიც. მათ წლების განმავლობაში შეგვინახეს ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლობა. ფართოდ გაუღეს კარები ჩვენს ემიგრაციას, სამშობლოდან დევნილებს და დღემდის ვსარგებლობთ მათი ტრადიციული სტუმართმოყვარეობით. ესეც ფრიად დასაფასებელია და ამასაც არასდროს დაივიწყებს ესოდენ ჭირნახული ქართველი ერი. მაგრამ როცა საფრანგეთის სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა მოითხოვა, ჩვენი საელჩო დახურულ იქმნა და ის გადაკეთდა ქართველ ლტოლვილთა ოფისად. ყოფილი მთავრობის წყალობით ის ემიგრაციის ერთი ნაწილის დაწესებულებად გადაიქცა და ნაკლებად ზრუნავს მთელი ემიგრაციის მძიმე პირობების შესამსუბუქებლად. ასე

თუ ისე, ეს მაინც ქართული ოფისია და ჩვენ ამისთვისაც მადლიერნი უნდა ვიყვნეთ საფრანგეთისა.

ეხლახან დაარსებულ კავკასიის ოფისს გერმანიაში, თანამედროვე საერთაშორისო ვითარების გამო კიდევ მეტი მნიშვნელობა ეძლევა. მიუნხენის შეთანხმების შემდეგ, ჩაგრული ერების მიმქრალი იმედები კვლავ გამოპრწყინდა. უკრაინის საკითხი მთელს მსოფლიოში გრგვინავს. მისი გაერთიანების და დამოუკიდებლობის მოპოება სულ ახლო მომავლის საქმეა. მასთან მჭიდროდ გადაბმულია რუსეთის უღლის ქვეშ მგმინავ სხვა ერების ბედიც: პირველს რიგში კავკასიელ ერებისა.

ერთ დროს უდიდესი როლი ითამაშა გერმანიის რუსეთზე გამარჯვებამ, რომელსაც მოჰყვა რუსეთის ნგრევა, ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა რომ მოგვიტანა. იმ ხანებში ბევრმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა გერმანიის შემწეობით და დახმარებით, მათ შორის კავკასიელ ერებმაც. და თუ ჩვენ ეს დამოუკიდებლობა შემდეგ ისე იოლად წაგვერთვა ჩვენივე საკუთარის უგუნურებით, ჩვენ — ბედისაგან განაწამებთ, კვლავ ეროვნულ თავისუფლების ძიებაში მყოფთ — გვმართებს არასდროს არ დავივიწყოთ გერმანელი ხალხის მიერ გაწეული ამაგი.

დღეს, როცა ერების განთავისუფლების გუგუნი კვლავ ისმის გოეთეს სამშობლოდან, ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეებსავით ყურთა იმენა არ უნდა დავიჩლუნგოთ წმინდა დოქტრინალური მოსაზრებით და მადლობით შევეგებოთ ასეთ დახმარებას.

როგორც გაზეთებმა გვაუწყეს კავკასიის ოფისის ხელმძღვანელად აურჩევიათ, გერმანიის მთავრობის დასტურით ბ. ვლ. ახმეტელი. იგი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა. დამოუკიდებლობის ხანაში ის საქართველოს ხალხის წარმომადგენელი იყო გერმანიის ხელისუფლების წინაშე. ყოველთვის მხნედ და ენერგიულად იცავდა ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ ის მაშინ ეკუთვნოდა სოციალ დემოკრატიულ მიმართულებას. ნაკლებად ხელმძღვანელობდა თავისი პოლიტიკური მრწამსით და სავსებით იდგა მთლიანი ერის ინტერესების სადარაჯოზე. თვით უკიდურესი ქართველი ნაციონალისტებიც კი კმაყოფილნი იყვნენ მისი ბერლინში მუშაობით. პარტიულს დირექტივებს ყოველთვის უგულვებელს ჰყოფდა და სინიდიისიერად და მამულიშვილურის გულწრფელობით ასრულებდა თავის მისიას. მიუდგომელი სიმართლის აღიარებისათვის ის დასჯილიც კი იქმნა ყოფილი მთავრობის და მისი პარტიის მიერ (ჩამოერთვა მანდატი წარმომადგენლობისა და გამორიცხულ იქმნა პარტიიდან. ეს მისთვის მაინცა და მაინც არ ყოფილა დიდი სასჯელი, ვინაიდან ის დიდი ხანია სცდილობდა პარტიის ვიწრო არტახებიდან თავი როგორმე დაეღწია). ხოლო მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია პოლიტიკური მუშაობა და ქართველ ლტოლვილებზე ზრუნვა. სინიდიისს (და არა მენშევიკების) წინაშე ის მართალი იყო და მას არა ჰქონდა ზნეობრივი უფლება გასცლოდა ქართველი ერის სამხახურს.

ბ. ლადო ახმეტელი, მხნე და ოპტიმისტი, არასდროს იმედს და რწმენას არა ჰკარგავდა ჩვენი ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი. მუდამ ხელსაყრელ პირობებს მოელოდებოდა კვლავ მეტის აღფრთოვანებით და ხალისით მოქმედებისათვის. მან საღად გადაათვა-სა თავისი წინანდელი პოლიტიკური შეხედულებანი, დაუკავშირდა ეროვნულად მოაზრეთა წრეს და სხვებთან ერთად დაიწყო მენშევიკებისაგან დამოუკიდებელი გზების ძიება, და როცა ეს გზა ეხლა უკვე გამოჩნდა „კავკასიის“ სახით, მას როგორც სხვებს არ ასცდა მენშევიკების იუპიტერთა და ზოგიერთ „ას პროცენტთან ნაციონალისტთა“ რისხვა. რას იზავთ! პოლიტიკური მებრძოლი ყველაფერს უნდა მოელოდეს.

ბ. ვ. ახმეტელის სარბიელი ამ ჟამად მარტო ქართველებით არ განისაზღვრება. მისი ფარგლები დღეს უფრო ვრცელია: ემსახუროს მთლიანი კავკასიის ინტერესებს! ჩვენ ყველას აშკარად უნდა გავაგებინოთ კავკასიელ ერთა პოლიტიკური მიზნები და სამართლიანი ეროვნული მოთხოვნები. ხოლო წინასწარ საჭიროა ერთი პირობა: ყველას უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენი ურთიერთ სოლიდარობა და თანხმობა საერთო ეროვნულ იდეალის განხორციელებისათვის.

ამ რიგად, ბ. ახმეტელის ასპარეზი მეტად რთულია, მძიმე ჩვენს პირობებში და ფრიად საპასუხისმგებლო მოსალოდნელ საერთაშორისო სიტუაციის გამო, მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ის მთლიანად შემოიკრებს კავკასიის შვილთ, რომელნიც გაბნეულნი არიან გერმანიაში და გათიშულნი სხვა და სხვა პარტიათა ქიშპობა-დავით და მათ გაუკაფავს გზას ეროვნული თავისუფლებისაკენ. მის ამდენი ხნის თავდადებული და უანგარო მოღვაწეობა თავდება, რომ ის პირნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ჩვენც ამას ვუსურვებთ.

ს. ჭირაქაძე

### უსუსური თავის მართლება

„დამოუკიდებელი საქართველო“ს № 152-ში მოთავსებულია მენშევიკების ცნობილი „დიპლომატის“ წერილი: „ვის ატყვილებენ“\*) ვითომდაც სინამდვილის აღსადგენად. ჯერ ვიფიქრე და არ მინდოდა მისთვის მეპასუხნა, რადგან მკითხველი კარგად დაინახავს, რომ შინა-არსი ჩემი კორესპონდენციისა, რომელიც ოქტომბრის ნომერში მოვათავსე, იგივეა, რაც შავიშვილს თავებად და ნომრებად დაუყვია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ადგილები შეუცვლია. 1). „სოშოში 22 აგვისტოს მე ლიგა არ მიქია“ და 4). „მაგრამ ვაქე ლიგისა და უნიონის წევრები რომელშიც 50 სახელმწიფოს წარმომადგენელი შედიან“ო. აბა გასაჯეთ და იპოვეთ, ბატონებო, განსხვავება.

\*) მართლწერა ბ-ნ ხ. შავიშვილისა.

მაგრამ ასეთია ბუნება მენშევიზმისა. ასეთნი არიან ყველა მისი მოხელენი. ის ჩემი შთაბეჭდილება, რომელსაც მენშევიკური წრეების უკმაყოფილება დავარქვი, გამოწვეული იყო იმით, რომ შავიშვილის მეორე მოხსენებაზე საპასუხო სიტყვას ბევრმა არ მოუცადა და კრება დასტოვა (რა თქმა უნდა მენშევიკებმა), რაც მე მაშინვე აღვნიშნე.

ბ. შავიშვილი ამბობს, რომ მისი უკანასკნელი მოხსენება და დასკვნები მე მოუწონე და ბევრი ქათინაურიც უთხარი. დიალ, ბ-ნო შავიშვილო, მე მჯეროდა რომ თქვენ გვიან მაინც აუღეთ ალლო მომხდარი ამბების მნიშვნელობას, რომელზედაც ჩვენი მემარჯვენე პრესა წლების განმავლობაში სწერდა. მაგრამ ეს თქვენი შეხედულება იმდენად უსუსური და მოკლე ხნისა გამოდგა, რომ დღეს, საპასუხოდ მოთავსებულ წერილში რეზერვიც კი გააკეთეთ: „თუ რამე კატასტროფა არ მოხდაო“. გაიხსენეთ კარგად ჩემს მეგობარ ჭირაქაძესთან დეკემბრის პირველ რიცხვებში თქვენი საუბარი, თხოვნა შეხვეწნით, რომ იმას, რასაც თქვენ მას ეუბნებოდით ნუ გაახმაურებთ, ნუ დამიწერთ, ჯერჯერობით არაა საჭიროვო! არის თუ არა ეს თავის მოტყუება — 18 წლის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ასპარეზზე მუშაობა, რომლითაც ქვეყანას აყრუებდით? მაგრამ ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია, როცა, ახალგაზრდობისას ლენინის მოტრფიალე, დღეს უმანდატო მენშევიკი და ჟორდანიას „კამარილიას“ ერთგული მოხელე ასე იქცევა: მაშ როგორ დაიძვრინოს თავი „უხერხულობისაგან“?

შოთა ბერეჟიანი

ვალენტინე. იანვარი 1939.

## პოლონეთი და ქართველი მენშევიკები

წარსული წლის გიორგობისთვის ნომერში „კავკასიას“ უკვე ჰქონდა შემთხვევა შეჭნებოდა იმ ცრუ და უნიადაგო „პოლემიკას“, რომელიც გაუმართა „დამოუკიდებელ საქართველო“-მ (№ 150) — „გაზეტა პოლსკა“-ს პატივცემულ თანამშრომელს, ფრიადი ცოდნით და ნიჭით შეიარაღებულ ბ-ნ ვიტოლდ იბოჰორსკი-ლენკევიჩს.

სამწუხაროდ, მაშინ ხელთ არა გვქონდა სრული ტექსტი ბ-ნ ვ. ლენკევიჩის წერილებისა და იძულებულნი ვიყავით მხოლოდ ალლოთი შეგვეტანა შესწორებანი „დამოუკიდებელ საქართველო“-ს სიყალბეში — ქართველი მკითხველის გასაფრთხილებლად. სინამდვილემ (ე.ი. სრულმა ტექსტმა ბ. ლენკევიჩის წერილებისამ), არა მარტო გაამართლა ჩვენი ალლო მენშევიკურ ტექსტების სიყალბეთა აღმოჩენაში, არამედ გადაამეტა კიდევც.

კეთილშობილი პოლონელი სრული ობიექტივობითა სცდილობს მოუპოვოს მენშევიკებს დადებითი მხარეებიც ქართულ პოლიტიკურ

მიმართულებათა შორის და თუ ნაკლებად პოულობს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ არსებობს.

იგი ზედმიწევნით აღნიშნავს ანალოგიებს საქართველოსა და პოლონეთის ისტორიაში. კარგად იცნობს ქართულ პოლიტიკურ პარტიათა ისტორიასა და მნიშვნელობას და საუცხოვოდ ესმის თუ ვინაა პასუხისმგებელი ჩვენი უკანასკნელი კატასტროფისა, რაც ვერ უპატიებიათ მისთვის, — დამნაშავე ჟორდანის მთავრობასა და მენშევიკებს.

იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებელია 1918—1921 წლის ხანის ამბებისა „სპეციფიური მანტალიტე სოციალისტური ხელმძღვანელობისა“, რაც ასე არ მოსწონთ მენშევიკებს, იოლად რომ ყველაფერს სხვას აბრალებენ, საზღვარს გადაცილებით და... გადაცილებულნი.

ჩვენ ხომ ვიცნობთ ქამელეონივით ცვალებად არგუმენტაციას მენშევიკებისას: „დავმარცხდით, რადგან... ოპოზიცია არ გვივარგოდა“; „მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ერი აღმოჩნდა სუსტი“-ო (ბ. ვ. ჯუღელის და ნ. რამიშვილის სიტყვები); „ლოიდ ჯორჯმა გაგვიყიდაო“; „დიდი რუსეთი ებრძოდა პატარა საქართველოსა“ო და უკანასკნელად ხომ დაუმატეს ესეც: „თბილისის სამარცხვინო დატოვებამა“ო, თითქო თბილისიც მათ კი არ დაეტოვებინათ, არამედ... ზულუსებს. მაგრამ ყველა ამ ყალბ არგუმენტაციას ვერ დაუმალია შორიდან მაყურებელ პოლონელისათვის ისევე, როგორც არც ერთ ჭკვათამყოფელ უცხოელისა თუ ქართველისათვის — ნამდვილი მიზეზები და პასუხისმგებელნი ჩვენი კატასტროფისა.

„ქართველი პატრიოტები აგერ ოცი წელიწადია—სწერს ბ.ლენკევიჩი — კითხულობენ: გააკეთა თუ არა სოციალისტურმა მთავრობამ ყველაფერი, რისაც გაკეთება შეიძლებოდა და საჭირო იყო — დამოუკიდებლობის დასაცავად? იყო თუ არა მეორე ინტერნაციონალის წევრთა სოფლმხედველობაში **საბედისწერო ელემენტები**, რის გამო მათი (სოციალისტების) მმართველობა — **კატასტროფით უნდა გათავებულოყო**? ხომ არ გაებნენ ილუზიებში და ამით არ მისცეს ცინიკურ მტერს — უპირატესობანი? მიაქციეს საკმაო ყურადღება, თავიანთ მართველობის დროს, **ძალის ელემენტს** და გააკეთეს თუ არა ყველაფერი მათგან დამოკიდებული — **თავდაცვის ორგანიზაციისათვის**? გადააქციეს თუ არა დარიალის ხეობა ახალ თერმოპილებად, რომელზედაც დაიმსხვრეოდა მტერთა ძალა, ან გადივლიდა — გვამებზედ?

პასუხი ამ კითხვებზედ აინტერესებს არა მარტო ქართველებს და არა მარტო ისტორიული თვალსაზრისითა ღირს დაკვირვება სამი წლის სოციალისტურ მართველო-

ბისა — რიონისა და მტკვრის დელეებში. ევროპაში არსებობენ ქვეყნები, რომელთაც დღემდე ურჩევენ, როგორც სანუკვარ საშუალებას — განმეორებას ალ. კერენსკისა და ნ. ჟორდანიას ექსპერიმენტისას...“

ამის შემდეგ ჭკვიან პოლონელს მოჰყავს მრავალი მსგავსებანი საქართველოსა და პოლონეთის შორეული და მახლობელი ისტორიიდან, მათი ბრძოლებიდან და მწუხარებით აღნიშნავს, რომ **ძაფი ამ მსგავსებათა სწულება**, დიდი ომისა და მის შემდეგ ხანაში.

„შეიძლება აღამიანს ეფიქრა, აპრიორი, რომ, თუ ორი ერი, მდიდარი ერთნაირი ისტორიული წარსულით, მსგავსი საზოგადოებრივი სტრუქტურით, გადაეჩეხებოდა ერთსა და იმავე სახელმწიფოს (რუსეთს) ერთი და იგივე მეთოდებით მმართველს ვისლაზედ და მტკვარზედ, — ერთნაირადვე უპასუხებდა ამ გარემოებას და მათი პოლიტიკური აზრის განვითარება ივლიდა იმავე გეზით. მაგრამ მსგავსებანი ისტორიულ მოვლენებისა შესწუდა მოულოდნელად 1918 წელს. პოლონეთი დღეს დიდი სახელმწიფოა ევროპაში და რაინდული ქართველი ერი კი გმინავს იმავე რუსის უღლის ქვეშ. 1918 წ., — წელი თითქმის ერთდროულად მოპოებული დამოუკიდებლობისა, არის უკანასკნელი რგოლი ქართულ - პოლონურ მსგავსებათა ჯაჭვისა. ივ. ჭავთარაძეს წიგნის დასაწყისში არის ასეთი ფრაზა: „მკითხველს ნუ გაუკვირდება, რომ ქართველებმა ვერ დაიცვეს დამოუკიდებლობა“, მაგრამ ობიექტიურად უნდა აღინიშნოს, რომ დაკარგვა დამოუკიდებლობისა საქართველოსაგან — გაუგებარი მოვლენაა. რუსეთისაგან გამოყოფის ბრძოლაში, ერის რიცხვი არ თამაშობდა **გადამჭრელ როლს**, — ხომ დაიცვეს დამოუკიდებლობა ისეთმა პატარა სახელმწიფოთ, როგორცაა ესტონია, ლატვია, ფინლანდია“\*).

ამის შემდეგ, ავტორი ფეხდაფეხ მისდევს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ეტაფებს 1917 წლის „ეროვნული ყრილობიდან“ მოყოლებით, ამიერ კავკასიის შეთითხნილი სეიმით და 1918 წლის მაისში ტირილით „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ დაარსებით და უკვირს რა ეს სიგრძენი, დაასკვნის:

\*) საგულისხმოა მოვიგონოთ, რომ პროფესორ ოლგერდ გორკე, ჯერ კიდევ 1936 წ. საუცხოვოდ აღნიშნავდა კავკასიელთა და კერძოდ საქართველოს ბევრ ობიექტიურ უპირატესობას, შედარებით ამ პატარა ქვეყნებთან და მთავარ პასუხისმგებლობას აკისრებდა იმავე ჟორდანიას მთავრობას.

„რჩება შთაბეჭდილება, რომ სოციალისტურ მოღვაწეთ მხოლოდ მაშინ გაბედეს ასეთი სადა და ბუნებრივი ნაბიჯი, როცა მოსტყუვდნენ სხვა გზებისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, რომელთაც უფრო ხელსაყრელადა სთვლიდნენ. მართლაც, რა უშლიდა ხელს — გაეწყვიტათ ყოველი კავშირი „მენშევიკებთან“ (რუსის) და დაეწყოთ შენება თავისი საკუთარი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა?

პოლონელს მარტო ეს არ აკვირვებს...

„ელი სამხედრო ძალის ორგანიზაციას, რომელიც დაიცავს დამოუკიდებლობას ხიშტების ძალით და არა... კონიუნქტურით...“

„რატომ არ იყო მზად საქართველო რუსებთან ომისათვის? — ჰკითხულობს ბ. ლენკევიჩი. — მთელ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა უკეთესი მდგომარეობით სასტიკი თავდაცვისათვის: ამას ამტკიცებს არა მარტო 20 საუკუნის სახელმწიფოებრივი არსებობა და მაღალი რაინდული ტრადიციები. არამედ გეოგრაფიული კონფიგურაციაც, კავკასიის უღელტეხილები და ღელეები ისე შეიძლება გამოგრებულიყო, რომ გაფასდებოდნენ ყველა სამო-სიერა, ბილბაო და საგუნტები! ბოლშევიკებთან (ადერბეიჯანის და სოჭის), სომხებთან, ოსმალეთთან ბრძოლებში ქართველმა მხედრობამ ხომ დაამტკიცა, რომ შეუძლიან ბრძოლა ლომივით და სიკვდილიც. საკმარისია მოვიგონოთ რაინდული შეტევანი იუნკრებისა თბილისთან ბევრად უმეტეს მტრის წინააღმდეგ.“

რასაკვირველია, სოციალისტურმა მთავრობამ შეავსო ნაკლი ზარბაზნებისა, ამუნიციისა და მხედრებისა, არა ნაკლებად მჭრელი საშუალებით — მისი შეხედულებით — სათნო პრინციპებით: სახელმწიფოთა მშვიდობიანი ცხოვრებისა და საერთაშორისო დავათა ლიკვიდაციაზედ.

აქ ავტორს მოჰყავს სასაცილო დებეშები ჩვენი მთავრობისა და ამბები სომხებთან და ბოლშევიკებთან ომების დროისა.

„არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი დამოუკიდებლობის დროს არსებობდა საქართველოს ტერიტორიაზედ მეორე ლეგალური პარტია — კომუნისტური... მოქმედების თავისუფლებით. და ეს „მოდმენი“ მუდამ უწყობდნენ აჯანყებათ (ლეჩხუმში, დუშეთში, და სხ.).“

ნულარ გავამრავლებთ სამწუხარო ამბებს... მიზეზი, თუ საქართველომ რატომ ვერ დაიცვა დამოუკიდებლობა, როცა სხვა უფრო პატარა და უარეს პირობებში მყოფმა ერებმა დაიცვეს — უნდა ვეძიოთ არა გარეშე მდგო



მარეობაში, არამედ — ქართველთა (იგულისხმე მენშე-  
ვიკთა) ფსიქიკასა და მანტალიტეში.

საქართველო დაეცა, რადგან მისი ყველაზედ სასიცო-  
ცხლო ინტერესები შეეწირა ფიქციებსა და მირაჟებს.  
დაეცა იმიტომ, რომ მისი ხელმძღვანელნი სცხოვრობ-  
დნენ ოცნებათა არა რეალურ ქვეყანაში და არა სურდათ  
დანახვა არასასიამოვნო სინამდვილისა. დაეცა, რადგან  
ტრადიკულ შეტაკებაში დოქტრინასა და ეროვნულ ცო-  
ცხალ ინტერესებს შორის, სამწუხაროდ, გაიმარჯვა —  
დოქტრინამ“.

დასასრულ ბ. ლენკევიჩი კვლავ უბრუნდება ანალოგიას საქარ-  
თველოსა და პოლონეთს შორის და — გულდაწყვეტით საქართველო-  
სათვის — აღნიშნავს, რომ პოლონეთს აღმოაჩნდა იოსებ პილსუდსკი,  
რომელსაცა სწამდა და ესმოდა, რომ ერია საგანი და მიზანი ისტორი-  
ისა და არა საფეხური და საშუალება რაღაც სხვა მიზნებისათვის.

„პოლონეთის პოლიტიკა იყო მიმართული ჭანსაკუ-  
თრებით საკუთარ ეროვნულ ინტერესებისაკენ და საკუ-  
თარი ძალის შექმნა გახდა მის დოგმად და ქვაკუთხედათ.  
შეიძლება ოცნება უკეთეს საერთაშორისო განწყობილე-  
ბაზედ, მაგრამ ერთი წუთითაც მიღება ოცნებისა, სინამ-  
დვილედ, პასუხისმგებელთათვის — დანაშაულია...“

ამ საუცხოვო წერილს აკლია ერთი მხოლოდ, რომ პატივცემული  
ავტორი დოგმებს, ილუზიებს და ოცნებას აწერს — ჩვენი ჟორდანიე-  
ბის დანაშაულს და სინამდვილეში რომ ეს „ილუზიები“ მხოლოდ რი-  
დე იყო გაცილებით უფრო მაგნე და დაბალი ინსტიტუტებისა და მოქ-  
მედებისა და, ალბად ცნობილი პოლონური ზრდილობის გამო, ველარ  
ამბობს.

რ. გ.




## პ რ მ ს ა

### კავკასია და სომხები

სომხების პოლიტიკური აზრის ევოლუცია კავკასიის მიმართ უფრო  
სწრაფი ნაბიჯით მიდის, ვიდრე მოსალოდნელიც იყო იმ კონსერვატი-  
ზმის გამო, რომელსაც იჩენდა ყველაზედ დიდი სომხური პოლიტი-  
კური ორგანიზაცია — „დაშნაკცუტიუნ“-ი.

მართალია, უკანასკნელი წლების განმავლობაში, ამ ორგანიზა-  
ციის ცალკე წევრებმა გამოიჩინეს გამბედაობა თავის მეზობლებთან





დაახლოვებისა; ერთხანს, „ქართველ-სომეხთა უნიონის“ სახით, მოეწყო პატარა ორგანიზაციაც საკუთარი ფურცლის ბეჭდვით; მაგრამ ეს ცდა, ბევრი მიზეზის გამო — მიიცვალა.

ჩვენ არ შეგვიძლიან გამოუდგეთ ყველა მიზეზების ჩხრეკას, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, მთავარი იყო ორი: პირველი, ზემოაღნიშნული კონსერვატიზმი, რომელიც ხელს უშლიდა და უშლის ამ მძიმე ორგანიზაციას დროზედ შეაფასოს შორეული თუ მახლობელი პოლიტიკური მოვლენების ცვლილებანი და რეალური მნიშვნელობა. მეორე — ის მტრული განწყობილება და უნდობლობა, რომელიც გამოიჩინეს, როგორც ყოველთვის ბეცმა მანშევიკებმა და სხვა, უკვე არსებულმა კავკასიურმა ორგანიზაციებმა.

ამ მთავარმა ორმა მიზეზმა კვლავ დასტოვა სომხობა კავკასიური ერთობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ვერც კავკასია იარსებებს, როგორც მთლიანი და ჯანსაღი ორგანიზმი — უსომხებოდ და ვერც, მით უფრო, სომხეთი — უკავკასიოდ. ეს ჯანსაღი და სადა იდეა კავკასიის მთლიანობისა ბევრსა აქვს ნათლად შეგნებული — თეორიულად, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის არაქსსა, მტკვარსა და თერგ-ყუბანის ნაპირებს შორის, ვიდრე კავკასიის ოთხი ერი შეიგნებს გონებითა და გულით, რომ ეს არის „სინე ქვა ნონ“ ჩვენი არსებობისა.

მაგრამ ნიშნები ამ შეგნებისა — გონებით და გულით და არა ფიქტიური კომბინაციებით, — საბედნიეროდ, მრავლდება, ოთხივე ერის ჯანსაღ ელემენტებში.

ჩვენ არას ვამბობთ დღეს თვით რეალურ კავკასიაზედ, საცა საერთო მტრის უღელი, ერთნაირად აუტანელი ყველასათვის, — ერთი გრძნობით და მრწამსით აერთებს საერთო ბრძოლაში და სიამოვნებით აღვნიშნავთ მხოლოდ თავისუფალ პირობებში აღმოცენებულ, ამავე ბრძოლისათვის ხელშემწყობ ნიშნებს.

წარსული წლის უკანასკნელ ნომერში ჟურ. „კავკასია“-მ უკვე მიაქცია ყურადღება ქართველი საზოგადოებისა იმ პოლემიკაზედ, რომელიც გაიმართა სომხურ, დაშნაკურ, გაზეთ „ნორ-ორ“-ისა (გამოდის ათინაში) და „არაჩ“-ის (გამოდის პარიზში) შორის. მკითხველი აშკარად დაინახავდა, რომ „ნორ-ორ“-ი არა მარტო ურჩევს თავის თანამემამულეთ მჭიდროდ დაუახლოვდნენ თავის მეზობელ კავკასიელებს, არამედ უსაყვედურებს კიდევ, რომ აქამდე ვერ დაადგნენ ერთად ერთ ჯანსაღ და სწორე პოლიტიკის გზას, რომელსაც ქადაგებენ „კავკასიელები“.

ამ „პირველ მერცხალს“, მართალია, ჩაუნისკარტეს, ძველი, სომხის ერის დამლუპველმა დაშნაკურმა ციკერნაკებმა (და, როგორც გვესმის, ძველივე მეთოდებით ეძებენ დაახლოვებას მოძველებულ მენშევიზმთან, რომლის სიყალბემ არა ერთი სიმწარე აწვნია), მაგრამ ახალი თაობა, სომხის ახალგაზრდობა, გაწვრთნილი ევროპის რეალურ ატმოსფეროში და არა მტირალა ოცნებაში, გაქლენთილი ნამდვილი მებრძოლი სულით, სულ სხვანაირად უდგება ამავე საკითხს.



მათი გაზეთი „აზგ“ (ერი), რომელიც რამდენიმე წელიწადია გამოდის პარიზში და ქადაგებს იმავე იდეებს კავკასიის მთლიანობისას, თავის უკანასკნელ ნომერში (ქრისტიანობისთვის) მთლად უერთდება ჟურ. „კავკასიისა“ და მისი მიმართულების რეალურ პოლიტიკას.

მისი რედაქტორი, ბ-ნი ვ. სელბოსიან-შანტი, შვილი ცნობილი შანტისა, გონივრულ და ნიჭიერ მოწინავე წერილში, აღნიშნავს რა კავკასიის ერთა სოლიდარობის აუცილებლობას და აკეთებს, როგორც ძველი, ისე მეცხრამეტე საუკუნისა და ჩვენი ახალი დროის ისტორიის და მოვლენების ზედმიწევნითს მიმოხილვას, და დაშნაკური ძველი მეთოდების კრიტიკის შემდეგ, ათავენს ასე:

„მოვლენები სწრაფად ვითარდება და ყოველ წუთს შეიძლება გადავიდეს გადამწყვეტ ფაზაში. დაშნაკცაკანები ვერ ბედავენ, არ ეხერხებათ გადასდგან საჭირო ნაბიჯი. მაგრამ კიდევ დაყოვნება სომხების არ ყოფნისა კავკასიელთა სამკვდრო - სასიცოცხლო მოახლოვებულ ბრძოლაში თავისუფლებისათვის — დაუშვებელია. თავის პასივობით, გაუბედაობით, დაშნაკცაკანები ღალატობენ როგორც თავისი ერის, ისე კავკასიის სხვა ერთა ინტერესებს. აი რატომაა საჭირო, ჩვენ, როგორც ჭეშმარიტმა წარმომადგენლებმა სომხეთისა გადავდგათ ეს პასუხსაგები ნაბიჯი — ხელთ ავიღოთ ინიციატივა სომხეთის შეერთებისა კავკასიელ დანარჩენ ერებთან, მათ ბრძოლაში თავისუფლებისათვის.“

„კავკაზს“, რომელიც დაულალავად ქადაგებს სომხების, სომხეთის მონაწილეობის აუცილებლობას ამ ბრძოლაში, ჩვენ უცხადებთ:

ვეთანხმებით რა სრულად თქვენს პოლიტიკურ ხაზს, ჩვენ, სომეხ ნაციონალისტთა ორგანიზაცია, — ჯერ მცირე რიცხოვანი, მაგრამ რეალური სომხეთის გამომსახველნი — მთელი ჩვენი ძალებით და შესაძლებლობით უერთდებით საერთო იდეალის სამსახურს — იდეალს თავისუფალი კავკასიისას.“\*)

ასეთი ნიშნები ევოლუციისა სომხური პოლიტიკური აზროვნებისა, გვამხნევენს არა მარტო ჩვენ „კავკასიელებს“, არამედ ყველა კავკასიელი პატრიოტის გულშიაც საამო გამოძახილს იპოვის, რომ აქამდე განზე გამდგარმა ჩვენმა მოძმე სომხებმაც იგრძნეს საერთო კავკასიურ ოჯახის შვილობა და ამაგრებენ გამარჯვების საწინდარს.

გამოვიდა მე-3 ნომერი ჟურნალ „მუზარადი“-სა, რომლის პირველ გვერდზე სწერია: „კავკასია უწინარეს ყოვლისა“. ეს წარწერა

\*) ხაზი ყველგან ჩვენი. რედ.

თავდები იყო, რომ მისი რედაქტორი ბ. ინდო ინასარის ადგილი იყო „კავკასიას“ მოძრაობასთან, მაგრამ ბოროტი ძალების ზეგავლენით მას დასჭირდა დრო, რომ შეემოწმებინა „კავკასიას“ გზის სისწორე-სიმართლე. „მუზარადმა“ კი გაიგო რა, რომ გაუგებრობით მოყვარე მტრად მიუღია, სინანულით იმასთან მივიდა...“ — სწერს ბ. ინდო ინასარი, რომელიც გარდა „მუზარადის“ რედაქტორობისა ეწევა შრომას ქართულ ლიტერატურულ დარგშიც. მის კალამს ეკუთვნის პარიზში გამოცემული დიდი ტანის რომანი: „ჩრდილი ერთი სინამდვილის“, რომელმაც მიიქცია ქართულ საზოგადოებისა და პრესის ყურადღება. ის გახლავთ საქართველოს საღი ახალგაზრდობის წარმომადგენელი. ათი წლის განმავლობაში ემიგრანტულ მძიმე პირობებში ეწევა ფიზიკურ მუშაობას თავის მეუღლე ქალბატონ ანდასთან ერთად არსებობისათვის. ორთავეს ერთი წუთითაც არ შეუწელებიათ ის პოლიტიკურ-კულტურული მუშაობა, რომელიც მათ დაიწყეს ქართულ უნივერსიტეტის დამთავრებისას. მაშ გაუმარჯოს თქვენ ლოზუნგს: „კავკასია უწინარეს ყოვლისა“.\*)

შ ო ბ ი ს ხ ე

ის თავხედური თავდასხმა, რომელიც მოახდინეს ბ. სპ. კედიას „ახალი ივერიის“ „ახალგაზრდებმა“ — „კავკასიელებზედ“, 25 ქრისტიანობისთვის, „ქართული კერის“ შობის ხეზედ, — არ იყო არც ქართული ტრადიციული ჩხუბი სიმთვრალეში და არც „სპონტანიური აფეთქება“, როგორც უყვარს მაღალფარდოვანი ლაპარაკი იმავე „გმირების“ ლიდერს. ეს იყო ხანგრძლივი მომზადებისა, თავშეუდებელი დევნისა და ღვარძლიან ცილისწამებათა შედეგი — საზოგადოებასა და პრესაში.

მთავარი სულის ჩამდგმელი ამ ველური კამპანიისა, როგორც ყოველთვის ემიგრაციაში, არის — ბ. ნოე ჟორდანიას, თავისი ვიწრო ფირალური წრით, ჯერ კიდევ საქართველოდან გამოცდილი ასეთ

\*) როგორც მოსალოდნელი იყო, „ბრძოლის ხმის“ გ. ურიათაძე ჩვეულებრივი ღმეჭით შეხვდა „მუზარადის“ მისვლას „კავკასიელებთან“ და გულს იოხებს მორიგ ცილისწამებათა სიით: „კვიცი გვარზე ხტისო“ ნათქვამია ასეთ მენშევიკურ მოხელეებზედ. სახელდობრ, ბ-ნ ე. გეგეჭკორის გამოსვლის მოწმე — „შეფიცულების დროის ქვეშ დადგომა ერის ინტერესებისათვის საშიში და საზიანო იქნებოდა“ — მთელი 13 ნოემბრის სხდომის დამსწრენი არიან.

საქმეებში, რასაც, არ ვფიქრობთ, იზიარებდეს მთელი სოციალ დემოკრატია.

სწორედ ერთი წლის წინ, 4 ქრისტიშობისთვის 1937 წ. გაიმართა უმგვანი მიტინგი, საცა, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ორი ამხანაგის თავმჯდომარეობით, — „დაგმობილი“ იყო „კავკასიის“ „მოღალატეობა“ „თურქოფილობისათვის“. ასეთი ხერხით საქართველოს ბოროტმა სულმა, ბ. ნ. ჟორდანიამ, ბრმა იარაღად გამოიყენა ყველა ისინი, ვინც ანგარებით ან გულუბრყვილობით ეტმასნებიან მასვე.

პარალელურად ამეტყველდა ყოვლად უზნეო, იქიდანვე ჩაგონებული, ცაგურიას „ბროშურები“ და აქაური „ნაციონალისტური“ პრესა, — იმავე ხულიგნური კილოთი და მოწოდებით ტერორისა და მკვლელობისადმი (მენას ე პროვოკაციონ ო მორტრ), რაც არა მარტო დაგმობილი არ იყო, არამედ გამოყენებული ციტატებით და ყოველთვის წაქეზებული მენშევიკური „ბრძოლის ხმისა“ და „დამოუკიდებელი საქართველო“ საგან.

პირველი სკრიპკა ამ შეთანხმებულ კონცერტში „ახალი ივერიის“ ძმა-ბიჭებს დააკვრევინეს: ჯერ კიდევ ოდინკურში მომხდარი პროვოკაციის ოსტატები, აქაც, — „უკიდურესი პატრიოტიზმის“ ქურქში გახვეულნი, ორი მხრიდან წასისინებული მწერლების როლში გამოდიან, და უკანასკნელი აკორდი იყო ბ-ნ პროფესორ მიხ. წერეთლის პროვოკატორული წერილები, რომელიც ხაშდვილ პრელუდიად გადაიქცა უკვე ხელჩართული ხულიგნობისა და შობის ხეზედვე იყიდებოდა, როგორც შხამი, გახვეული — თეთრი გიორგის“ წმ. სახელის — გაზეთში.

ასეთი „ერთობა“ გასაგებიც არის: ყველა ჯურის ნიადაგდაკარგულ სიბოროტემ, — მენშევიზმის კულისებში დგომით, — გაიერთიანა „პოლიტიკურ“ კომბინაციებში, არა ერთხელ ბრმა იარაღად გამოყენებულნი ბ-ნნი სპ. კედია და მ. წერეთელი, და მათი ხელით აკეთებს იმ ბნელ საქმეს, რომელსაც აკეთებდა ჯერ კიდევ საქართველოში: ყველასი და ყველაფრის დაშლა, რაც მენშევიკებს ეწინააღმდეგებდა.

ეს ყალბი „ოპოზიციონერები“ მუდამ ასეთ მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ, რადგან ჟორდანიასებურ პირველხარისხოვან ბოროტებისათვის ხერხი არა ჰყოფნიდათ, არამც თუ პირველხარისხოვან სიკეთისათვის.

თვითონ „თავდასხმა“ განზრახულს, მაგრამ ცუდათ შესრულებულ „საქმესა“ ჰგავდა: „ქართული კერის“ ხელმძღვანელებმა მიიღეს ანონიმური წერილი გაფრთხილებით და „კავკასიელები“ კი არ გააფრთხლეს, არამედ ყველას სათითაოდ გაუგზავნეს მოწვევის ბარათები და პირადათაცა სთხოვეს მობრძანება — „შობის ხეზედ“. ბედმა ისეც

ინება, რომ ბ-ნი სპ. კედია და ბ-ნი ზ. ავალიშვილი ერთად მობრძანდნენ ზალაში და, ჩხუბის დროს, კედია არც ერთი ქესტი, არც ერთი სიტყვა არ დასძრა „თავისი კაცების“ გასაჩერებლად და... მხოლოდ მეორე თუ მესამე დღეს კერძო წერილით გამოსთქვა „აღშფოთება“ მომხდარი ამბით... ალბად... „ალიბისათვის“; ვინ მისცა იმდენი ვაჟკაცობა, რომ საჯაროდ დაჰგმოს ის, რასაც მთელი წლის განმავლობაში თითონვე ამზადებდა ფსიქოლოგიურად თავისი „ახალი ივერიის“ საშუალებით?!

მართლაც ახალია ის „ივერია“, რომელსაც დაუკარგავს არა მარტო გონება და ზნეობა, არამედ ქართული ყარაჩოლული ჩხუბის ტრადიციაც და არ დაერიდნენ არც დიდ ქრისტიანულ უქმეს, არც ბავშვებს, არც მანდილოსნებს და რუსულად, „სკოპომ“, ოთხი-ხუთი მოჩხუბარი კინტოსავით ეცემოდნენ თითო ადამიანს, ორ-სამს ეჭირა და ორი-სამნი სცემდნენ ერთს... თუმცა პარიზში წინდაწინვე დადიოდა ხმები, რომ „განაწილებული ჰყავთ პერსონები, თუ ვინ ვის დაარტყავდა“ო.

ეტყობა, ასეთი პრიმიტიული ვაჟკაცობის უნარიც დაჰკარგვიათ სპ. კედიას ხელმძღვანელობაში. მაგრამ უფრო შორს მიდის მათი ენა და მთელ პარიზში (და ბერლინშიაც უფრენიათ) ავრცელებენ ჭორებს, რომ „კავკასიელები“ გაულახავთ სათითაოდ, როცა ფაქტიურად მხოლოდ ერთმანეთს დაამტვრიეს ცხვირ-პირი. ღმერთი ვისაც გაუწყრება, ჯერ ჭკუას წაართმევსო, ნათქვამია, და მართლაც, მენშევიკებისაგან გაღიზიანებული და ბ. სპ. კედიასაგან დალოცვილი „ახალი ივერიის“ „თანამშრომლები“, რომელთაც მარტოდნენ მიიღეს მონაწილეობა ამ „საგმირო ამბავში“ — ერთმანეთს დაერივნენ. ყველაზედ მეტად დაშავებულმა ერთმა მათგანმა, სიბრზით, ან, უნდა ვიფიქროთ, „სპეციალური შეკვეთით“, დაუწყო მტვრევა ... მაგიდებს, სკამებს და „ქართული კერის“ ქურქელს. ყველაზედ მეტად მოხვდა, და ვფიქრობთ, ყველაზედ უდანაშაულოდ, — ბ-ნ ნესტორ კალანდაძეს (მენშევიკი, ნა-„ეშმაკისმათრახის“-ეული) და სხვ. რომელთაც „კავკასიელებთან“ არაფერი საერთო არა აქვთ.

მაშასადამე, გამოდის, რომ „კავკასიელნი“ მიიწვიეს მახეში (გე-ტა პან) და ფეხი შიგ მოჰყვათ მენშევიკებს, რომელთაც სამგლე გოჭად „ახალი ივერია“ იგამოიყენეს. ცილისმწამებელ მონადირეთაგან ყი მგლად მონათლული — უვნებელი დარჩა.

ბ-ნ სპ. კედიას აღარა დარჩენია რა, თავის „სურნელებათა ლაბორატორიაში“ ჩაუფიქრდეს 'რომელთა ფილოსოფიურ გამოთქმას: „სიკ ტრანზიტ გლორია მუნდის!“

ყველგან დამსწრე

## 15 წლის იუბილე ქართული სიმღერისა საფრანგეთში

ჯერ კიდევ ყმაწვილობისას ბ. პ. მოსულიშვილი მღეროდა მელიტონ კუხიანიძის გუნდში და ის იყო მისი პირველი მასწავლებელი ქართული სიმღერა-გალობისა. შემდეგ, უნივერსიტეტში ყოფნის დროს, მოსულიშვილი ხელმძღვანელობდა ქართველ სტუდენტთა გუნდს პეტერბურგში და დრო გამოშვებით გამოდიოდა საკონცერტოდ მდიდრად მოწყობილ „ტრადიციულ ქართულ საღამოებზე“.

ცალკე კონცერტები გაიმართა თავად-აზნაურობის კლუბში, კალაშნიკოვის დარბაზში, ნემეტტის თეატრში, და მაშინ იყო, რომ კომპ. მ. ბალანჩივაძემ ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა ლოტბარის ტემპს და უნარს. დრო გამოშვებით პ. მოსულიშვილი ისმენდა ლექციებს ხელოვნების და მუსიკის იტორიის შესახებ პროფ. კალის, რპოფ. გროზდოვისა და კომპ. კლენოვსკისა, რომელნიც დიდ პროპაგანდას უწევდნენ საერთოდ ქართულ მუსიკას და გადაიღეს ნოტებზე ცნობილი ქართული სიმღერები. ამ კარგ კულტურულ საქმეს ქართულ სიმღერა გალობისა აქ, საფრანგეთში, საძირკველი ჩაუყარა ბ. პ. მოსულიშვილმა ამ 15 წლის წინად. მისი პირველი გუნდის ვარჯიშობა შესდგა სორბონის მცირე დარბაზში 21 ნოემბერს, 1923 წელს. ძნელი იყო იმ ხანებში ქართულ სიმღერათა პარტიტურის შოვნა, სამშობლოდან კი მათი გამოწერა ყოველად შეუძლებელი. მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ბევრმა თავისი ეროვნული ჰიმნი არ იცოდა, არც მელიოდა, არც შინაარსი, მოთხოვნილება კი დიდი იყო „დიდების“ საჯაროდ აღსრულებისათვის. დაუღალავი შრომის შემდეგ, მოსულიშვილმა გამონახა სიმღერების ნოტები, შეადგინა შესაფერი პროგრამა და მიაწოდა უცხოელებს მათთვის უცნაური, მაგრამ ყოველად საინტერესო ქართული მუსიკა. ფრანგულმა პრესამ არა ერთხელ აღნიშნა ქართულ ჰანგების თავისებურობა, მათი ორიგინალური წყობა, ქართველ ხალხის დამახასიათებელი აკორდები და მათი სიმშვენიერე. 15 წლის განმავლობაში მოსულიშვილმა გამართა პარიზში და საფრანგეთის სხვა ქალაქებში ოცამდე კონცერტი. აღსანიშნავია ქართული გუნდის გამოსვლა პარიზის „გრანდ-ოპერაში“ პროფ. ბალო-ბოპრეს მიწვევით. წინა დღით გაზეთი „ლე ჟურნალ“ (№ 11839) პირველ გვერდზე სწერდა: „მაშ ჩვენ ხვალ ტაშის ცემით მივეგებებით „გრანდ ოპერაში“ საქართველოს სიმღერას და ცეკვას პ. მოსულიშვილის ლოტბარობით“. სიმღერათა შორის აღსრულებულ იქმნა ორი საცეკვაო სიმღერა: „ცანგალა და გოგონა“ და „არალალი“ მოცეკვავედ გამოვიდნენ ქ-ნი ა. დავრიშაშვილისა, ვაჩნაძისა და გომართელი.

1931 წელს მოსულიშვილი პირადად მიწვეული იყო ლონდონში

სხვა ერების ლოტბარებთან ერთად სასულიერო კონცერტზე მონაწილეობის მისაღებად. ქართულ საგალობლების შინაარსი ნოტებს ქვევით მიწერილი იყო ლათინურად. მოსულიშვილმა ულოტბარა 225 მომღერალს, რომელთაც არტისტულად შეასრულეს სხვა საგალობელთა შორის უძველესი ქართული მრავალხმოვანი „შენ ხარ ვენახი“ და „მამაო ჩვენო“.

მომავალ კონცერტზე 28 იანვარს, ერარის საკონცერტო დარბაზში, მოსულიშვილი შეასრულებს თავის ნაწარმოებს „ხოტბა რუსთველს“, დაწერილი დიალოგური ფორმით გამყივანსა და გუნდის (ხალხის) შორის. გასულ 26 მაისობას „ხოტბამ“ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე და ავტორი მხურვალე ოვაციებით იქმნა დაჯილდოვებული. სწერდა ამ ნაწარმოებს მოსულიშვილი ექვსი თვე, ვინაიდან იძულებული იყო სიტყვის მარცვლების და ნოტების აკინძვა ქართულ უძველეს მელოდიებზე და ისიც აკომპანიმენტით პიანოზე. მოსულიშვილის გამოკვლევით, უძველეს დროს ქართულ სიმღერა-გალობას დიდი გავლენა ჰქონია ხმელთაშუა ზღვის ხალხებზე. შემდეგში, ნიდერლანდის ლოტბრებს შეუთხზავთ ვოკალური მრავალხმოვანობა (15 ს.) და მერე ვივალდის, ბახს და გაენდელს (18 ს.) შეუწყვიათ ევროპის ხალხებისათვის ოთხხმოვანი წყობა, რომელსაც საფუძვლად დაედო ქართული ეროვნული პოლიფონიური ხელოვნება. აკადემიკოს მარრის ჩამოსვლამდე ბასკების ქვეყნებში, 1923 წელს მოსულიშვილმა მოიარა მათი ქალაქები: სან-სებასტიანო, ბილბაო და ზოგიერთი სოფლები გამოსაკვლევად იმისა, თუ რამდენად მართალია ჩვენი ერის ნათესაობა ბასკებთან სიმღერა გალობის მხრივ. დადებით დასკვნას ამ საკითხის შესახებ მოსულიშვილი ასაბუთებს მელოდიების იდენტიური შინაარსით ორივე ხალხისა. ეს გამოკვლევა სავსებით აღიარა ახალ მეცნიერების „ლა ეოგრაფი მიუზიკალ“ ცნობილმა პროფესორმა, თვით ბასკმა, ჟორჟ ჟირონკურმა, რის შესახებ 1934 წ. მან წაიკითხა ქ. ნანსიში და შალონში 4 საჯარო მოხსენება სიმღერების დასურათებით, რომელნიც შეასრულა ქართულმა გუნდმა მოსულიშვილის ლოტბარობით. ამ ეტნოგრაფიულ კონცერტებს დაესწრო მრავალი ხალხი და აღმოსავლეთ საფრანგეთის პრესამ დიდი ქება და აღტაცება გამოსთქვა. ერთი მათგანი („ეკლერ დე ლესტ“) სწერდა: „ქართული პოლიფონიური სიმღერები გასაოცარი ნიმუშებია ქართველთა და ბასკთა ნათესაობის“ აო.

მომავალ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების კონცერტზე პ. მოსულიშვილი შეასრულებს 12 ეროვნულ სიმღერას, ნოტებზე გადაღებულს ქართველ კომპოზიტორების მიერ.

## CERCLE DES ETUDES CAUCASIENNES

კავკასიელ ერთა კულტურულად დამახლოებელ, ფრიად სასარგებლო საზოგადოებაში — Cercle des études Caucasiennes, — რომელიც აგერ მეშვიდე წელიწადია თავმდაბლად და უყვირილოდ ემსახურება თავისი სახელწოდების იდეას, — უკანასკნელ დროს წაკითხული იყო ორი საინტერესო მოხსენება. პირველი — ქრისტიშობისთვეში, ბ-ნ გ. ჟურულის მიერ (საზოგადოების თავმჯდომარე, რომელმაც შეცვალა დამაარსებელი, ნეტარხსენებული ბ-ნი ი. დადიანი, მცირე ინტერვალით, ბ-ნ ი. ზავრიევის შემდეგ) — ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობაზედ, საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ლიტერატურულ აღორძინებაში. სამწუხაროდ, ფრიად საინტერესო მოხსენება, დროის სიმოკლისა გამო, შეწყვეტილ იქმნა არსებითად „წინასიტყვაობაზედ“, ანუ თვით ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობის გენეზის — მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ვითარებაზედ. თვით ი. ჭავჭავაძემდე მიყვანით, უნდა ვიქონიოთ იმედი, პატივცემული ბ-ნი გ. ჟურული არ დაკმაყოფილება და იმავე „ცნობათა და აზრთა“ მოხდენილი დატვირთულობით დააკმაყოფილებს „სერკლის“ მრავალრიცხოვან აუდიტორიას.

მეორე მოხსენება — იანვარში — ეკუთვნოდა ბ-ნ ხან-მაკინელს („ა. გოტიე“) — „თანამედროვე ირანზედ“. მშვენიერი ფრანგული ენით და გამოთქმით წაკითხული მოხსენება, ფრიად საინტერესო კავკასიელ მოზარდთათვის, ეტყობა სუსტობდა იმ გარემოების გამო, რომ მიღებული არ იყო მხედველობაში აუდიტორიის უფრო... ნაკითხი ნაწილი. მაინც მადლობა ეთქმის ხელმძღვანელთ, რომ მატერიალურ სახსარს სრულიად მოკლებული საზოგადოება, ამდენ წელიწადს პირნათლად უძღვება თავის კულტურულ დანიშნულებას. რაე

### წერილი რედაქციის მიმართ

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო, გთხოვთ უმორჩილესად მოათავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება თქვენს ჟურნალში მე სავსებით ვიზიარებ ჟურნ. „კავკასიის“ პოლიტიკურ მიმართულებას. თავისთავად ცხადია ამ განცხადებით, მე ვსწყვეტ ყოველივე კავშირს სოც. დემ. პარტიასთან და სხვა მარქსისტულ და ანტიეროვნულ ორგანიზაციებთან.

პატივისცემით: გ. თაყაიშვილი

პრაღა, 25 იანვარი 1939 წ.

### შეცდომის გასწორება.

ჟურნალ „კავკასია“ს № 12-ში თანამშრომელთა და წერილების ავტორთა სიაში შეცდომით არის დასახელებული ბ. მ. კაუხჩიშვილი. რედ.